ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

„ოზურგეთის არჩევნებზე ქალს ფული ხმის სანაცვლოდ გადაუხადეს“

ქართულმა მარშმა

გვ.3

გურამ კაშიას სუპერმარკეტ სმარტში ლექცია წაუკითხა

10 ნოემბრიდან

ანდრეს ინიესტა

შემოქმედი

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

ორშაბათი, 13 ნოემბერი, 2017 №269 (7504) ფასი: 50 თეთრი

დიდი წმენდა მთავრობაში

ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე გახდება

მღებრიშვილი, ჯეჯელავა, ელოშვილი, ხეჩიკაშვილი და აგულაშვილი მინისტრები აღარ იქნებიან

კახიშვილმა და დოლიძემ მინისტრობა ბოლო მომენტში შეინარჩუნეს

ღია წერილი ქ.თბილისის მერს ბ-ნ კახა კალაძეს თბილისის მიწათსარგებლობის გენგეგმის შესახებ

გვ.5

თორნიკე შარაშენიძე: „კალაძე ფენომენია, მაგრამ ივანიშვილთან დაპირისპირება ამ ეტაპზე მისთვის კატასტროფული იქნება“

გვ.2

რამაზ საყვარელიძე: „ჯეჯელავამ კვირიკაშვილს ცუდი სამსახური გაუწია“

გვ.4

სამართალი გვ.7

შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ერთი პირი ამხილა

„ერთი-ორი პოლიციელი აუცილებლად დატოვებთ სამსახურს“

ბათუმში დაკავებული ანრი ბიბინეიშვილი პოლიციას ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს

ეკონომიკა გვ.6

HEIDELBERGCEMENT GEORGIA

ირაკლი რუხაძემ ჰაიდელბერგცემენტის საქართველოში ბიზნესის 50% იყიდა

გვ.6

„კავკასუს როუდ პროჯექტმა“ ბათუმის პორტის ესტაკადის ტენდერი „ბლექ სი გრუპს“ მოუგო

გვ.7

ზაზა სინაურიძე: „ზოგმა კლინიკამ ოპერაციაზე დაბალი ფასი დადო, ზოგმა კი — რამდენჯერმე მაღალი“

ISSN 1987-9385

4 რუსეთის არმია დარიალის ხეობაში სამხედრო წვრთნებს ატარებს

2 ირაკლი კობახიძე: „სინარიბის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და ეს არის ჩვენი უმთავრესი გამოწვევა“

8 რა განაპირობებს პუტინის პოლიტიკის მარცხს?

2 რომან გოცირიძე: „როგორც იღებდნენ ორმოცჯერ პრემიებს, ასევე გააგრძელებენ“

„კალაძე ფენომენია, მაგრამ ივანიშვილთან დაპირისპირება ამ ეტაპზე მისთვის კატასტროფული იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, რატომ დასჭირდა ამ ეტაპზე „ოცნებას“ ცვლილებები მინისტრთა კაბინეტში?

– არჩევნებმა ჩაიარა და ამის საჭიროებაც დადგა. ცვლილებები დაიგეგმა დიდი ხნის წინ, მაგრამ არჩევნებს ელოდებოდნენ. არჩევნები გადაგორდა, არჩევნების წინ საჭირო იყო ერთიანობა, სტაბილურობა, ახლა კი გაატარებენ დიდი ხნის წინ დაგეგმილ ცვლილებებს. ჯეჯელავას მოხსნა, პრინციპში, არ იქნება გასაკვირი, იმიტომ, რომ ამ კაცის გამოთქმები ხშირად სერიოზულ აჟიოტაჟს იწვევს.

– მღებრიშვილს რას ერჩიან?

– მღებრიშვილს რაც შეეხება, ცხადია რომ ის თავიდანვე არ იყო ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრი და ეს ამით უფრო უნდა აიხსნას.

– ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, ეკონომიკის სამინისტროს შეუერთდებაო.

– ეს სრულიად ლოგიკურია, სწორია. მე ძალიან ბევრ სახელმწიფო მინისტრის აპარატს გავაუქმებდი და ამით შევამცირებდი ბიუროკრატიულ ხარჯებს. ფაქტია, რომ ძალიან გაბერილია ბიუროკრატიის ხარჯები. ამხელა ბიუროკრატიული აპარატი ჩვენზე გაცილებით დიდ სახელმწიფოებს არ აქვთ. თუმცა, მეორე მხრივ, არის პრობლემა, ყველაზე დიდი დამსაქმებელი სწორედ ეს ბიუროკრატიაა და ეს გამოიწვევს ძალიან დიდ უმუშევრობას. ასე რომ, ასე მარტივად არ იქნება საქმე.

– ანუ გაიზრდება ქვეყანაში უმუშევართა რიცხვი?

– კი ასე იქნება, ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში ძალიან დაბალია.

– თქვენ საუბრისას განაცხადეთ, რომ ეს ცვლილებები დიდი ხნის წინ დაიგეგმა, უბრალოდ, არჩევნების წინ ერთიანობის შენარჩუნება სჭირდებოდათო. არ არის გუნდში ერთიანობა, დაპირისპირებაა?

– როგორც ჩანს, ზემოთ ამ მინისტრებით უკმაყოფილება გაიზარდა.

– ზემოთ სად, ივანიშვილის დონეზე გადაწყდა?

– რთული სათქმელია, ეს ბიძინას დონეზე გადაწყდა თუ არა, რადგან ბოლო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი მაინცდამაინც აქტიურად არ ერევა პოლიტიკაში. ამას ყველა აღიარებს, ოპოზიციაც აღიარებს. მღებრიშვილის შემთხვევაში საუბარი შეიძლება იმაზეც, რომ მუხთარლის საქმემ იმოქმედა სერიოზულად. ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ამ შემთხვევამ სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოს. ამის აღიარება არ უნდოდათ, მაგრამ ამაზე ყველა საუბრობს.

– თბილისის ახალი მერი შეუდგება საქმიანობას. ის ძალიან ბევრ დაპირებას იძლევა. ითქვა, რომ უპირისპირდება სითი პარკს. შესაძლოა, სასამართლო დავაც წამოიწყოს. რას უნდა ველოდეთ კალაძისგან?

– კალაძეს აქვს ყველა მონაცემი იმისთვის, რომ იყოს ძლიერი დამოუკიდებელი მოთამაშე. თუ ირაკლი ღარიბაშვილი თავიდან ბოლომდე იყო ივანიშვილზე ჩამოკიდებული, კალაძე თავიდანვე იყო ძლიერი, დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ფიგურა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ ფიგურამ გაიმარჯვა არჩევნებში. ის დანიშნული არ არის ივანიშვილის მიერ. თბილისის მერი კი უფრო ძლიერი პოსტია, ვიდრე რომელიმე მინისტრის სავარძელი. დარწმუნებული ვარ, კალაძე არ დაკმაყოფილდება თბილისის მერის სავარძლით.

– სხვა გეგმები აქვს?

– მას უფრო დიდი ამბიციები აქვს, ამიტომაც უნდა, რომ ამ პოსტზე გააკეთოს სერიოზული საქმე, რომ მართლა დაიმსახუროს მხარდაჭერა. მე არ გამიკვირდება, თუკი დაუპირისპირდება იგი სითი პარკს, დაუპირისპირდება სერიოზულად ნარმანიას მემკვიდრეობას. ეს პოლიტიკურად მომგებიანი იქნება მისთვის, იმიტომ, რომ ნარმანია არაპოპულარული მერი იყო.

– კალაძე ცდილობს, სერიოზული ქულები ჩაიწეროს საზოგადოების თვალში. მერიაში მისვლამდე მან მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება დაიწყო და ბევრი საინტერესო განცხადება გააკეთა.

– ასეა. ჩვენ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, როგორ შეიცვალა კალაძე, რომელიც 2012 წელს საჯარო გამოსვლების დროს ორ სიტყვას ვერ აბამდა ერთმანეთზე, არ ლაპარაკობდა, უზარმაზარი კონტრასტია. თუ კიდევ მოუმატა ტემპს, უზარმაზარი შანსები აქვს, რომ კიდევ უფრო მეტად წავიდეს წინ. ის არის ჩამოყალიბებული, სერიოზული ფიგურა.

– ბევრი იმასაც ამბობს, რომ კალაძე ოპოზიციაში გადავა. თქვენ რას იტყვით?

– ჯერჯერობით არა. არანაირად არ სჭირდება. მან ძალიან კარგად იცის, რომ ამ ქვეყანაში რაც მნიშვნელოვანია, ყველაფერს მაინც აკონტროლებს ბიძინა ივანიშვილი. ახლა მასთან დაპირისპირება კალაძისთვის კატასტროფული იქნება. ბიძინა ივანიშვილი აკონტროლებს ძალოვნებს, მედიის დიდ ნაწილს, სასამართლოებიც, აშკარაა, რომ მისი სერიოზული გავლენის ქვეშ იმყოფებიან. რა უნდა მოუხერხო ასეთ დროს, თუნდაც თბილისის მერი იყო? ის ივანიშვილს ვერაფერს დააკლებს. რაც უნდა წარმატებას მიაღწიოს, გაიზარდოს რეიტინგი, ივანიშვილთან ჭიდაობა მისთვის მარცხით დამთავრდება, ეს ფაქტია.

– თავად ივანიშვილს ხომ არ დასჭირდება, რომ მისი ხელმძღვანელობით შექმნას ახალი ძალა, რომელიც „ოცნებას“ ჩაანაცვლებს?

– რთული სათქმელია, რამდენად ენდობა იგი კალაძეს, რომელიც დამოუკიდებელი ფიგურაა. კალაძე „ოცნების“ არატიპური წევრია, დანარჩენები, ვინც იქ არიან, თითქმის ყველანი ივანიშვილის მიერ არიან შექმნილი.

„ოცნებაში“ ძირითადად იყო ორი ნაწილი. ერთი – ივანიშვილის მიერ მოყვანილები, რომლებსაც არავინ იცნობდა, არაფერს წარმოადგენდნენ და მეორე ნაწილი იყო ჩვენთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკოსები, მაგალითად, უსუფაშვილი, რომელსაც ჰქონდა რეპუტაცია, წონაც, მაგრამ პოლიტიკაში დამოუკიდებლად ვერაფერს მიაღწევდა, რომ არა ივანიშვილი.

– დღეს ისინი ივანიშვილის გვერდით აღარ არიან.

– დიახ. ივანიშვილმა ეს ბოლო ნაწილი ჩამოიშორა, ალასანია, უსუფაშვილი და თუ დარჩა „ოცნებაში“ ვინმე, დარჩნენ ის სახეები, რომლებიც ივანიშვილმა შექმნა და მთლიანად მას ემორჩილებიან. ამათში გამოირჩევა ერთი კალაძე, რომელიც რასაც წარმოადგენს, ყველაფერს თვითონ მიაღწია. კალაძე ფენომენია. ამიტომ მე არ მგონია, რომ ასეთ ძლიერ ფიგურაზე გააკეთოს აქცენტი ივანიშვილმა და კალაძეს ჩააბაროს ახალი პოლიტიკური ძალა.

– თქვენ განაცხადეთ, რომ კალაძეს უფრო დიდი გეგმები აქვს.

– მას თბილისის მასშტაბით დიდი გეგმები აქვს და, თუკი თბილისში ის წარმატებას მიაღწევს, მერე ბრძოლაც შეიძლება. თუკი კალაძე კარგი მერი იქნება და თუკი ივანიშვილი მას ბრძოლას დაუწყებს, ეს თავად ივანიშვილს დააზიანებს. ძალიან საინტერესო პროცესები გველის. „ოცნებაში“ გაჩნდა დამოუკიდებელი და ძლიერი მოთამაშე, რომელიც არ არის ივანიშვილის მიერ კონტროლირებადი, მის მიერ შექმნილი და ეს უკვე ძალიან საინტერესოა.

ირაკლი კობახიძე: „სიღარიბის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და ეს არის ჩვენი უმთავრესი გამოწვევა“

ეკონომიკური თვალსაზრისით ორჯერ ჩამოვრჩებთ ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყანას და დაახლოებით 10-ჯერ ჩამოვრჩებით ევროპის განვითარებულ ქვეყნებს, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი.“

მისი თქმით, მიუხედავად მძიმე მემკვიდრეობისა, „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა.

– ეკონომიკური თვალსაზრისით ორჯერ ჩამოვრჩებთ ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყანას და დაახლოებით 10-ჯერ ჩამოვრჩებით ევროპის განვითარებულ ქვეყნებს. ასეთ პირობებში სიღარიბის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და ეს არის ჩვენი უმთავრესი გამოწვევა.

2012 წელს დაგვხვდა ძალიან მწირი სოციალური ბიუჯეტი და ამ ფონზე ხუთი წლის განმავლობაში მოვახერხეთ სოციალური ბიუჯეტის გაორმაგება. ამის ხარჯზე მოხდა ის, რომ 80%-ით გაიზარდა პენსიები 5 წლის განმავლობაში, მოვახერხეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღება, რამაც ბუნებრივია უზრუნველყო შესაბამისი ხარჯების შემცირება. ჯანდაცვის სამინისტროს ფინანსები ორჯერ არის გაზრდილი, რაც ნიშნავს ორჯერ მეტ ჯანმრთელობის დაცვას ჩვენი მოქალაქეებისთვის. ბუნებრივია ჩვენს ბიუჯეტს აქვს თავისი ზღვარი და გვჭირდება დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მედიანიუსი

„მარგველაშვილი ნაციონალური მოძრაობის მხარეს არის“

– გიორგი მარგველაშვილი არის „ნაციონალური მოძრაობის“ ორი განშტოებისა და „პატრიოტთა ალიანსის“ მხარეს.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა გადაცემა „360 გრადუსში“.

კობახიძის შეფასებით, ქვეყნის პირველი პირი არ არის ნეიტრალური არბიტრი და ის ხელისუფლების ოპოზიციაში დგას.

– მოქმედი პრეზიდენტი ამბობს, რომ არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ მიეკუთვნება, თუმცა, რეალურად ყველანი ვხედავთ, რომ გიორგი მარგველაშვილი არის ოპოზიციონერი პრეზიდენტი. მარგველაშვილი არის ხელისუფლების ოპოზიციაში. სწორედ ამაზე ვსაუბრობ, რომ ის არ უნდა იყოს არც პოზიცია და არც ოპოზიცია.

პრეზიდენტი უნდა იყოს ნეიტრალური, თუმცა, დღეს ყველამ ვიცით, რომ პრეზიდენტი არ არის ნეიტრალური. ის არის ოპოზიციის მხარეს, თვითონ არის ოპოზიციაში. გიორგი მარგველაშვილი არის სამი ოპოზიციური პარტიის მხარეს, ნაციონალური მოძრაობის ორი განშტოებისა და „პატრიოტთა ალიანსის“ მხარეს. ბუნებრივია, სხვაგვარი პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ შემდეგ არჩევნებზე. კრიტიკა არის მისაღები, არბიტრიც სწორედ ამას გულისხმობს, მაგრამ ის არ უნდა პოზიციონირებდეს როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მედიანიუსი

რომან გოცირიძე: „როგორც იღებდნენ ორმოცჯერ პრემიებს, ასევე გააგრძელებენ ამ საქმიანობას მომავალში“

საქართველოს პარლამენტის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან რომან გოცირიძე შრომითი ანაზღაურების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით ფეისბუქის პირად გვერდზე სტატუსს აქვეყნებს.

– პარლამენტში პინოჩეტის კანონის განხილვა დაიწყო. პინოჩეტის იმიტომ, რომ ძალიან სწყალობდა შეიარაღებულ სტრუქტურებს. ჩვენთან ის განსხვავებაა, რომ მხოლოდ უფროსობა სარგებლობს პრივილეგიებით.

ხელფასების, პრემიების, დანამატების შესახებ კანონი ძალოვან სტრუქტურებს არ შეეხება. არ ეხება ასევე უამრავ სხვა უწყებას. ნახ-ნახევარა კანონია. როგორც იღებდნენ ორმოცჯერ პრემიებს, ასევე გააგრძელებენ ამ საქმიანობას მომავალში. 65 ათასი საჯარო მოხელე არ დაექვემდებარება ახალი კანონის მოქმედების სფეროს.

თუ დღემდე სახელფასო განუკითხაობა კანონის არარსებობით აიხსნებოდა, ახლა კანონის ძალით გაეხსნებათ ხელ-ფეხი, – წერს გოცირიძე.

❖ ❖ ❖

ცნობისათვის, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის ინფორმაციით, საკანონმდებლო ორგანოში შესულია შრომითი ანაზღაურების შესახებ კანონპროექტი, რომლის შედეგადაც შრომის ანაზღაურების ფიქსირებულ სისტემაზე გადასვლა მოხდება და მაქსიმალურად შეიზღუდება პრემიების განაწილების წესი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დიდი წმენდა მთავრობაში

მღებრიშვილი, ჯეჯელავა, ელოშვილი, ხეჩიკაშვილი და აგულაშვილი მინისტრები აღარ იქნებიან

გუშინ დილიდან გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთავრობაში დაგეგმილი საკადრო და სტრუქტურული ცვლილებების შედეგად მინისტრთა კაბინეტს, ჯამში, 7 მინისტრი დაემშვიდობებოდა.

უფრო კონკრეტულად, არსებული ინფორმაციით, მინისტრის პორტფელს ტოვებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, სასჯელაღსრულების მინისტრი კახა კახიშვილი, რომელიც მთავრობის მიერ დაანონსებული ახალი საგამოძიებო სტრუქტურის ხელმძღვანელად სახელდებოდა, ასევე ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი, სპორტის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, ასევე ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე.

ამ ინფორმაციის მიხედვით, იგეგმებოდა რამდენიმე უწყების გაერთიანება.

კერძოდ, დაგეგმილი იყო ეკონომიკისა და ენერგეტიკის, კულტურისა და სპორტის, სასჯელაღსრულებისა და იუსტიციის, ასევე გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების შერწყმა. ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა კი უქმდებოდა და აღნიშნული მიმართულება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთიანდებოდა.

არსებული ინფორმაციით, გაერთიანების შემდეგ ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ჩაიბარებდა, კულტურისა და სპორტის გაერთიანებულ უწყებას – კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, სასჯელაღსრულებისა და იუსტიციის სამინისტროს – იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, სოფლის მეურნეობისა და გარემოს გაერთიანებულ უწყებას კი – კვლავ სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი.

გუშინ საღამოს ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

მთავრობაში გამართული კონსულტაციებისას შეთანხმდნენ, რომ ორი სამთავრობო უწყება – სასჯელაღსრულების სამინისტრო და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ფუნქციონირებას არსებული სახით გააგრძელებს და ცვლილებები ამ ეტაპზე არ შეეხება.

შესაბამისად, მინისტრები კახი კახიშვილი და ვიქტორ დოლიძე პორტფელებს შეინარჩუნებენ.

❖ ❖ ❖

კრიზისების მართვისა და უსაფრთხოების საბჭო და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო შესაძლოა ერთ უწყებად ჩამოყალიბდეს.

ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე გახდება

კახიშვილმა და დოლიძემ მინისტრობა ბოლო მომენტში შეინარჩუნეს

რეფორმირებულ უწყებას გიორგი მღებრიშვილი უხელმძღვანელებს, რომელიც შს მინისტრის პოსტს დატოვებს.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, განათლების მინისტრის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება, რომელთა შორისაც ერთი-ერთი განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაშია, თუმცა ჯაშის მთავრობაში შესაძლო გადანაცვლების შესახებ ინფორმაციას პარლამენტში არ ადასტურებენ.

ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე დიმიტრი ქუმსიშვილის შემცვლელად „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელის, მამუკა ბახტაძისა და ქუმსიშვილის პირველი მოადგილის, გიორგი თაბუაშვილის კანდიდატურები განიხილებოდა.

დღის ბოლოსკენ მთავრობამ კანდიდატურებზე მსჯელობა დაასრულა და გადაწყვეტილება მიიღო.

აღნიშნულ პოსტზე დიმიტრი ქუმსიშვილს მამუკა ბახტაძე შეცვლის.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, აღნიშნულ ძალოვან უწყებას, სავარაუდოდ, ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარია ჩაიბარებს.

ამ ცვლილებების შესახებ დღეს, 11 საათზე, სპეციალურ ბრიფინგზე პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი ისაუბრებს.

❖ ❖ ❖

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებები დაადასტურა.

მისი თქმით, ცვლილებების შემდეგ საჭირო გახდება მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება.

– შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ იქნება გარკვეული სტრუქტურული და ასევე პერსონალური ცვლილებები მთავრობაში. რაც შეეხება დეტალებს, უკვე დაანონსდა, რომ ხვალ ექნება პრემიერს ბრიფინგი. პრემიერის პროგრამატივაა, რა თქმა უნდა, ამ ინიციატივის წარდგენა საზოგადოებისთვის, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ მთავრობაში საკადრო და სტრუქტურული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია დაადასტურა, თუმცა, დეტალების შესახებ არ უსაუბრია.

– მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ მიმდინარეობს გუნდში ცვლილებების პროექტზე მუშაობა. რა თქმა უნდა, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. ეს პრემიერ-მინისტრის პროგრამატივაა და როდესაც ეს ცვლილებები შესაბამისად მომზადდება, ამას პრემიერი გააჟღერებს, – განუცხადა ტელეკომპანია „იმედს“ ვიცეპრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ.

გუშინ საღამოს გაიმართა პრემიერ კვირიკაშვილის შეხვედრა „ქართული ოცნების“ დეპუტატებთან, რომელზეც გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტის წევრებს მთავრობის ცვლილებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები გააცნო.

„ოზურგეთის არჩევნებზე ქალს ფული ხმის სანაცვლოდ გადაუხადეს“

ქართულმა მარშმა გურამ კაშიას სუპერმარკეტ სმარტში ლექცია წაუკითხა

შორენა მარსაგიშვილი

თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში და 5 თვითმმართველ თემში მეორე ტურმა მეტ-ნაკლები სიმშვიდით ჩაიარა. ქუთაისის გარდა, პირველ ტურში მერის არჩევა ვერ შეძლეს ოზურგეთში, ხაშურში, ბორჯომში მარტვილსა და ყაზბეგში.

ყველაზე მშვიდად არჩევნები ქუთაისსა და მარტვილში ჩატარდა. აქ მეორე ტურში „ოცნების“ კანდიდატებთან ერთად ნაციონალებიც მოხვდნენ. მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი თქვა. ამის მიუხედავად, მათი კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენებში მაინც იყვნენ წარმოდგენილი.

სიმშვიდე იყო ყაზბეგშიც. აქ მერობისთვის ერთმანეთს „ოცნებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატები დაუპირისპირდნენ.

ოზურგეთში, ხაშურსა და ბორჯომში კი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიძაბა ვითარება. ხაშურსა და ოზურგეთში „ოცნების“ კონკურენტები დამოუკიდებელი კანდიდატები იყვნენ. ბორჯომში სამთავრობო კანდიდატს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი უწევდა კონკურენციას.

ხაშურში სიტუაცია ქართული მარშის წევრების ჩასვლის შემდეგ დაიძაბა. დამოუკიდებელი კანდიდატი რამაზ ნოზაძე მარშელების მეგობარი აღმოჩნდა.

საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ მარშის ლიდერებმა სანდრო ბრეგაძემ და გია კორკოტაშვილმა შიდა ქართლის გუბერნატორ კახა სამხარაძეს დაუწყეს ძებნა.

– არჩევნების პროცესის დასრულების შემდეგ ხელისუფლება საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაყრით არის დაკავებული. ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ სამხარაძე უბან-უბან დარბის. ამიტომ დავიწყეთ მისი ძებნა. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ქართული მარშის ერთ-ერთმა ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ გუბერნატორის საძებნელად წასულ მარშელებს მათი მთავარი სამიზნე – გურამ კაშია გადაეყარათ. აღსანიშნავია ისიც, რომ მარშის წევრები ხაშურიდან 13 ნოემბერს ქუთაისში აპირებენ ჩასვლას, სადაც ეროვნული ნაკრები ბელარუსთან ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ჩვენთან საუბარში სადღობელაშვილი ადასტურებს, რომ ისინი კაშიას შეხვდნენ და ლექცია წაუკითხეს.

– ეს შეხვედრა მართლაც შედგა. ჩვენ და ნაკრების ფეხბურთელები სუპერმარკეტ სმარტში შევეჩეხეთ ერთმანეთს. ისინი ქუთაისში მიდიოდნენ და რაღაცების საყიდლად შემოვიდნენ. მათთვის არც სტვენა დაგვიწყია და არც ჩხუბი, უბრალოდ, ვუთხარით, რომ კაშია არასწორად მოიქცა, როცა ის ჭრელი სამკლავური გაიკეთა, – ამბობს სადღობელაშვილი.

მისი თქმით, მათ საუბარში ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავაც ჩაერია და სიტუაცია განმუხტა. ამის შემდეგ მარშელები და ფეხბურთელები თავიანთ გზაზე წავიდნენ.

ხაშურისგან განსხვავებით, ბორჯომში მოჭიდავეები გამოჩნდნენ. მათ ყოფილი დეპუტატი, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური მეთაურობდა. ჟურნალისტებმა მოჭიდავეები ლიკანის №9 საარჩევნო უბანზე დააფიქსირეს.

მართალია, ზვიადაური ამტკიცებდა, ბიჭებთან ერთად სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად ჩამოვედიო, მაგრამ ვინ დაუჯერა. „ქრონიკა +“-ის ჟურნალისტმა მაკა მოსიაშვილმა ის დაიჭირა და ლიტრობით ასვა ყავა.

გაცილებით მძიმე იყო ვითარება ოზურგეთში. აქ ლამის მთელი „ოცნება“ იყო ჩასული. სამთავრობო კანდიდატის მხარდასაჭერი განცხადებები ბიძინა ივანიშვილის ძმამაც კი გააკეთა.

არჩევნებზე მომხდარ დარღვევებზე დეტალურად ამ დღეებში ისაუბრებენ. გუშინ, 12 ნოემბერს, ამაზე მხოლოდ შუალედური ანგარიშები დაიდო.

მაგალითად, „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლების ინფორმაციით, 19:00 საათის მდგომარეობით, საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცესი არსებითი ხასიათის დარღვევების გარეშე მიმდინარეობდა.

მათივე ცნობით, ოზურგეთის ოლქში ტენდენციის სახით ფიქსირდებოდა საარჩევნო უბნების გარე პერიმეტრზე სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისა და პარტიული კოორდინატორების სიმრავლე, რაც შესაძლოა ამომრჩევლის მხრიდან აღქმული იყოს, როგორც ნების გამოხატვის კონტროლის მცდელობა.

ორგანიზაციის ინფორმაციით, 19.00 საათისთვის „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი იყო 13 საჩივარი, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში – 12 საჩივარი, რომელთაგან ერთი კომისიამ უკვე განიხილა და არ დააკმაყოფილა. ჩანაწერთა წიგნში დაფიქსირებულია 2 შენიშვნა.

ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი კონსტანტინე შარაშენიძე აცხადებდა, რომ კომისიის წევრმა, რომელიც უბანზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია, ერთ-ერთ ამომრჩეველს 20 ლარი გადასცა. ამ ფაქტის შემდეგ მოქალაქემ საკუთარი ხმა დააფიქსირა. კომისიის წევრი კი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ამომრჩეველი არის მისი ახლობელი და მან ფული ქალბატონს პროდუქტის შესაძენად გადასცა.

„ჯეჯელავამ კვირიკაშვილს ცუდი სამსახური გაუწია“

ნათია ხურცილავა

რამაზ საყვარელიძე: „ბევრ პასუხგაუცემელ კითხვაზე მღებრიშვილის გადაყენება იქნება პასუხი“

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მინისტრთა კაბინეტის ცვლილების სავარაუდო მიზეზებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, რით არის მინისტრთა კაბინეტის ცვლილება განპირობებული და რა გზავნილი შეიძლება იყოს ეს საზოგადოებისთვის?

– რამდენიმე მიზეზი შეიძლება იყოს: ერთ-ერთი ალბათ არის ის, რომ ამით „ქართული ოცნება“, მმართველი პარტია, თავის ამომრჩეველსა და ზოგადად საზოგადოებას ეუბნება, რომ ის განახლებაზე ორიენტირებული ხელისუფლებაა, რომ შეუცვლელები არ არსებობენ, რომ ისინი ყოველთვის უკეთესის ძიებაში არიან. ეს არის ერთგვარი გზავნილი, მაგრამ რეალურად შეიძლება ამ ცვლილებებში ამოვიკითხოთ – იცვლებიან ისინი, ვისით კმაყოფილი არ არიან, ვის მიმართაც უკმაყოფილება ხალხში დაგროვდა.

ბოლო ადგილობრივმა არჩევნებმაც ალბათ თავისი წვლილი შეიტანა ამ გადაწყვეტილების მიღებაში. მართალია, „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს თითქმის ყველგან, მაგრამ ამ არჩევნებმა აჩვენა ხალხის დამოკიდებულება, ამომრჩევლის ნიჰილისტური განწყობები უფრო თვალნათელი გახდა ხელისუფლებისთვის. მოსახლეობის 60%-ზე მეტი იდენტიფიცირებას ვერ ახდენს სახელისუფლებო პარტიასთან და ვერც სხვა დანარჩენ პარტიასთან.

– შინაგან საქმეთა მინისტრი მღებრიშვილი იყო, რომლის შეცვლაზეც პირველი ინფორმაცია გავრცელდა. ეს მოსალოდნელი იყო?

– სრულიად მოსალოდნელი იყო. ეს ინფორმაცია ზედაპირზე იდო.

– საქართველოში ყველა ხელისუფლების აქილევსის ქუსლია შინაგან საქმეთა სამინისტრო?

– რასაკვირველია. ურთულესი სამინისტროა. შინაგან საქმეთა მინისტრი სხვადასხვა თვისებით უნდა იყოს დაჯილდოებული. ვერცერთმა მინისტრმა ვერ მიიყვანა თავისი ვადა ბოლომდე, რომელსაც ერთი სკანდალური საქმე არ დაუკავშირდა ამ სამინისტროში.

– მღებრიშვილი თუ შეიცვალა, გამოდის, პაატა პავლიაშვილის საქმესა და მუხთარლის გატაცების ფაქტს შეეწირა. ეს ორი საკითხი იყო საკვანძო ამ გადაწყვეტილების მიღებისას?

– ვისთანაც მომწიფდა ეს გადაწყვეტილება, მისთვის შეიძლება სხვა საქმეებიც ყოფილიყო საკვანძო. ჩვენ ხომ არ გვაქვს ყველა ინფორმაცია. თუმცა, უდავოდ იქნებოდა ნუცუბიძეზე მომხდარი ახალგაზრდა ბიჭის გარდაცვალების ამბავი ერთ-ერთი მართლაც საკვანძო საკითხი. რაც შეეხება აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცების საქმეს, ეს, არა მგონია, გადამწყვეტი ყოფილიყო. თუ ასეა, მაშინ ეს, ფაქტობრივად, აღიარება გამოვა.

გიორგი მღებრიშვილმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კარგად იმუშავა ამ ზაფხულს ხანძრების დროს, მაგრამ იქ თითოეული მეხანძრემაშველის გმირობის დონეზე იყო ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები ასული. ამდენად, მღებრიშვილის საორგანიზაციო ნიჭი დიდად ვერ დავინახე.

ძირითადად მაინც გადამწყვეტი ამ გადაწყვეტილებისას იქნებოდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, გამოუძიებელი საქმეები. ვერცერთ გახმაურებულ საქმეზე გამოძიებამ შედეგი ვერ დადო. მინისტრმა თითქოს წაუყრუა ამ საქმეებს. ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს და მისი გადაყენება იქნება ამ კითხვებზე პასუხი.

– 18 სამინისტროდან 13 სამინისტრო რჩება, რამდენიმე სამინისტროს გაერთიანება ხდება. მაგალითად, კულტურისა და სპორტის სამინისტროები ერთიანდება, როგორც სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს იყო. ეს „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკის გამოძახილია?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მგონია. არ ვგულისხმობ მხოლოდ ამ ორი სამინისტროს გაერთიანებას, არამედ ზოგადად მიდგომას, რაც ნაკლები სამინისტრო გვექნება, მით უკეთესია. დასავლეთის ქვეყნებში ძალიან ცოტა სამინისტრო არსებობს. ევროპული ქვეყნები ცდილობენ, რაც შეიძლება მცირეხარჯიანი აპარატები, სამინისტროები ჰქონდეთ. ჩვენზე ბევრად დიდ ქვეყნებში და ბევრად უფრო მაღალბიუჯეტიან სახელმწიფოებში სულ რამდენიმე სამინისტრო არსებობს. ბევრი სამინისტრო, ბევრი მოხელე უფრო საბჭოური გადმონაშთი მგონია.

მე, პირადად, ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ სამინისტროების გაერთიანებისა და გაუქმების თემა არ არის. ეს ოპტიმიზაცია მთლიანად პოლიტიკისა და ეკონომიკის ამ ხელისუფლების მიერ ერთგვარი ახლებური გააზრება მგონია.

– პოლიტიკური სისტემის ცვლილების კონტექსტში განიხილავთ?

– დიახ. მხოლოდ ტექნიკური საკითხი რომ იყოს, მაშინ, არა მგონია, ოთხი სამინისტროს გაუქმებასა თუ გაერთიანებაზე ყოფილიყო საუბარი. მაშინ ალბათ მხოლოდ ერთ-ორ სამინისტროზე იქნებოდა საუბარი.

– თავის დროზე უხმაუროდ გაუქმდა დიასპორის სამინისტრო.

– დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობ.

– თუმცა, ხელისუფლების მიმართ ნაკლებ ბიუროკრატიაზე მუდმივად იყო მოთხოვნა.

– რასაკვირველია სწორედ ასე შეიფუთება ეს გადაწყვეტილება და არგუმენტად სწორედ

ამას გვეტყვიან, მით უფრო, „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკის გათვალისწინებით, სამინისტროების, როგორც ბიუროკრატიული მონსტრების გაუქმება, მაგრამ, როგორც გითხარით, აქ მე უფრო მეტ გადაწყვეტილებას ვხედავ.

– ამ სამთავრობო ცვლილებების კულმინაცია გიორგი კვირიკაშვილის წასვლა ხომ არ იქნება?

– არა მგონია. მეეჭვება, მოვლენები ასე განვითარდეს. ეს რომ მოხდეს, ჯერ მისი შემცვლელი უნდა იყოს მოძებნილი. თქვენს გაზეთში ერთ-ერთი ჩემი კოლეგის საინტერესო ვერსია წავიკითხე, თუ ვინ შეიძლება იყოს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი და შემდეგ – პრემიერი. თუმცა, მეეჭვება, ჯერ კვირიკაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატი გახდეს. ის ახლა ცდილობს თავისი ავტორიტეტის განახლებას, თუ შეიძლება ასე ითქვას. მაგალითად, ჯეჯელავას ფიგურამ კვირიკაშვილს ძალიან ცუდი სამსახური გაუწია.

თამაზ მეჭიაური: „ქუცნაშვილი პროვოკაციას ამზადებს“



თიანეთის ახლადარჩეული მერი თამაზ მეჭიაური პარლამენტარ ზაქარია ქუცნაშვილს პროვოკაციების მომზადებაში ადანაშაულებს.

აღნიშნულის შესახებ მეჭიაური ფეისბუქის პირად გვერდზე სტატუსს აქვეყნებს:

„მივმართავ ხელისუფლებას, მმართველ პარტიას, მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს!

კორუფციაში ყელამდე ჩაფლული ქუცნაშვილის მიერ მზადდება პროვოკაციების ახალი პაკეტი – მისი დავალებით ყოფილი გამგებლის მიერ „ქართული ოცნების“ სახელით დღემდე მიმდინარეობს საკადრო გადაადგილებები, კაბინეტების მიტაცება და სხვა მრავალი ქმედება, რომლის მიზანია თიანეთში სიტუაციის დესტაბილიზაცია, მმართველობის პარალიზება და ამით მმართველ პარტიასთან ხალხის დაპირისპირება...

ყოველივე ამას ხელს უწყობს ზოგიერთი ჩინოვნიკის მათდამი კეთილგანწყობაც... გთხოვთ რეაგირებას! წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობას იძულებულს გავხდით, ჩაერთოს უმართავ პროცესებში...

მედიანიუსი

ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას ახალი ეპისკოპოსი უხელმძღვანელებს

თბილისის შერიგების ტაძარში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ღვთისმსახურებაზე პასტორი მარკუს შოხი ეპისკოპოსად აკურთხეს. ამის შესახებ ინფორმაციას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, ღონისძიებას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები, საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები, ყაზახეთის რუსეთისა და მეზობელი ქვეყნებიდან მოწვეული ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსები და პასტორები ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია რომ საქართველოს ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას 9 წლის განმავლობაში ეპისკოპოსი ჰანს იოაჰინ კიდერლენი ხელმძღვანელობდა, დღეიდან კი მას ეპისკოპოსი მარკუს შოხი შეცვლის.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ სტუმრებმა სიტყვით მიმართეს ახლადარჩეულ ეპისკოპოსს, მიულოცეს მას იერარქიული დაწინაურება და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველმა ნინო ჭავჭავაძემ ისაუბრა საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის შესახებ. მისი განცხადებით, რელიგიის სააგენტო დაარსებიდან აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციებთან, მათ შორის ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიასთან.

– ვიმედოვნებთ, რომ ახალი ეპისკოპოსის პირობებში სააგენტოსა და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიას შორის თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო მჭიდრო იქნება, – განაცხადა ნინო ჭავჭავაძემ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჰაიკე ფაიჩიმ მიულოცა ლუთერულ ეკლესიას ახალი ეპისკოპოსის არჩევა და წარმატებები უსურვა მას. მან ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს სახელმწიფოს ტერენტი გრანელის ქუჩის №15 (ყოფილი გერმანელთა სასაფლაო) არსებული ეკლესიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ლუთერული ეკლესიისათვის გადაცემისთვის.

ინტერპრესნიუსი

რუსეთის არმია დარიალის ხეობაში სამხედრო წვრთნებს აჭარებს

დარიალის ხეობაში რუსეთის არმიის სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს. შეიარაღებული ძალების სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქის მეთაურის ინფორმაციით, სწავლება ჩრდილოეთ ოსეთის მთიან რეგიონში იმართება. წვრთნებში მზვერავები მონაწილეობენ, რომლებიც, ტაქტიკურ ბრძოლასთან ერთად, მოწინააღმდეგის ფარულად ლიკვიდაციის უნარებშიც ვარჯიშობენ.

წვრთნების ფარგლებში მზვერავები კვირაში ერთხელ ლაშქრობაში გაემგზავრებიან, მთიან რეგიონში უცნობ ტერიტორიებს გამოიკვლევენ და საიდუმლო პატრულირების მეთოდებს შეისწავლიან.

ნიუპოსტი

100.000 მოწამის ხსენების დღეს ილია II მეტეხის ხიდზე საზეიმო პარაკლისს გადაიხდის



დღეს, 13 ნოემბერს, 100.000 მოწამის ხსენების დღეს, ილია II მეტეხის ხიდზე საზეიმო პარაკლისს გადაიხდის.

საზეიმო პარაკლისი 17:00 საათზე შესრულდება. მანამდე, 16:00 საათზე, ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის“ ორგანიზებით, გაიმართება შემოქმედებითი კონცერტი, რომელშიც ხალხური ანსამბლები და ფოლკლორული გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

ყოველი წლის 13 ნოემბერს მართლმადიდებლური სამყარო 100.000 მოწამის ხსენების დღეს აღნიშნავს. საუკუნეების წინ 100.000 ქართველი სწორედ ამ დღეს შეეწირა წმინდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას.

ინტერპრესნიუსი

ღია წერილი ქ.თბილისის მერს ბ-ნ კახა კალაძეს თბილისის მიწათსარგებლობის გენგეგმის შესახებ

ბ-ნო კახა!

უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ 2017 წლის 21 ოქტომბერს ქ. თბილისის მერად არჩევას და გისურვებთ თქვენი წინასაარჩევნო პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

პროგრამაში ერთ-ერთი უმთავრეს საკითხად სამართლიანად გქონდათ გამოყოფილი ქ. თბილისის მიწათმოწყობის გენერალური გეგმა.

ამასთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო პროგრამაში ნათქვამია, რომ „მერია საბოლოოდ დაამუშავებს და დაამტკიცებს თბილისის მიწათმოწყობის გენერალურ გეგმას, რომელიც შეასრულებს თბილისის ურბანული განვითარების ქვაკუთხედის ფუნქციას. გენერალური გეგმა იქნება სისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული, წლებზე გათვლილი ქალაქის „კონსტიტუცია“. გენერალური გეგმა შექმნის ქალაქმშენებლობისა და ურბანული განვითარების ახალ პარადიგმას, რომელიც იქნება არა მხოლოდ დედაქალაქის განვითარების ახლებური ხედვა, არამედ გახდება მაგალითი საქართველოს სხვა, დიდი ქალაქების განვითარების კონცეფციებისთვის.“

თქვენ მემკვიდრეობით გერგოთ ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებული უამრავი გადაწყვეტილება, რომლებიც, მათი ავკარგიანობის მიუხედავად, თქვენგან დამოუკიდებლად განხორციელდება. ისე აღმოჩნდით „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ (მგგ) განახლების ჩახლართულ ისტორიაში ჩართული, რომ ყველა დასმულ კითხვასა და კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემა თქვენ მოგიწევთ. ამასთან, ყველა ხილული თუ უხილავი მანქანა იმუშავებს/უკვე მუშაობს იმისთვის, რომ თქვენ ვერც მოახერხოთ ამ ისტორიებში გარკვევა და გახდეთ თბილისის, როგორც ქალაქის, დეგრადაციის მონაწილე, მსგავსად თქვენი წინამორბედებისა.

პირველი ასეთი მახე თქვენ დაგიგეს წინასაარჩევნო პროგრამის ზემოთ მოტანილი ტექსტის შემოთავაზების დროს. როდესაც თქვენ მიწათსარგებლობის გეგმის მიღების პერსპექტივაზე საუბრობდით, მაშინ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის მიღება უკვე დაანონსებული ჰქონდა მერიის ხელმძღვანელობას. თუმცა, მგგ-ს პროექტის მიღება წარმოდგენილი სახით შეუძლებელი აღმოჩნდა ქართველი ექსპერტების მიერ მისი ნეგატიურად შეფასებისა და კრიტიკის გამო. ახლა ყველა, ვინც მილიონები დახარჯა მგგ-ს პროექტის შედგენაზე (უშუალოდ სამუშაოების ღირებულება 2,8 მლნ. ლარია. გარდა ამისა, დიდია თანმდევი ხარჯებიც), ცდილობს, რომ ეს გეგმა თქვენ მიიღოთ, თანაც, შემჭიდროებულ ვადებში. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მგგ-ს პროექტის საბოლოო ვარიანტი 13 ნოემბერს წარედგინება მერიის შესაბამის სამსახურს, ხოლო 22 ნოემბერი ბოლო ვადაა, როცა არქიტექტურის სამსახურმა ან უნდა გააფორმოს საბოლოოდ მიღება-ჩაბარების აქტი და წარუდგინოს დოკუმენტი დასამტკიცებლად საკრებულოს, ან შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს მგგ-ის შემდგენელი კომპანია.

მგგ განხილვის საგანია, თუმცა იმ სახით, რა სახითაც დღემდეა წარმოდგენილი, მისი მიღება გაქცევთ სიტუაციის ტყვედ, ხოლო თბილისს ნორმალური ქალაქის მომავალს დაუკარგავს, საუკეთესო შემთხვევაში კი ის იქნება მკვდრადშობილი დოკუმენტი. ვფიქრობთ, გრძნობთ აღნიშნული სიტუაციის სიმძიმეს. ამის ნიშანია თქვენ მიერ სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება, შეხვედრები სპეციალისტებთან.

მივესალმებით თქვენს ასეთ მიდგომას საკითხისადმი და გვინდა მოგახსენოთ ჩვენი პოზიცია კითხვაზე: რა ვქნათ? – პასუხის გასაცემად.

მთელი რიგი ქართველი სპეციალისტები, სხვადასხვა სამთავრობო თუ სამოქალაქო ორგანიზაციები და საერთაშორისო ექსპერტები თანხმდებიან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაა და არც განაშენიანების დეტალური მაკონტროლებელი რეგულაცია. ის არ გვთავაზობს სივრცითი მოწყობის სტრატეგიის ნათელ ხედვას, რომელიც შეიძლება დამტკიცდეს თბილისისთვის. დოკუმენტი არ არის საკმარისად დეტალური, რომ გამოიყენებოდეს მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვების გასაცემად. ამასთან, გვხდება როგორც მნიშვნელოვანი შეცდომები, ასევე, ნაკლოვანებები კონცეფციისა და მისი იმპლემენტაციის კუთხით, რაც სერიოზულ პრობლემებს შექმნის მისი განხორციელების შემთხვევაში.

დოკუმენტი არ ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკას და შეიძლება ჩაითვალოს, რომ არ არის თანხვედრაში „იუნესკოსა“ თუ „გაეროს“ ჰაბიტატის სახელმძღვანელო პრინციპებთან. რაც მთავარია, ის უსპობს თბილისს – საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ცენტრს – განვითარებისა და ქვეყნის თუ რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის პერსპექტივებს. ის არ აუმჯობესებს თბილისელთა ცხოვრებას და, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, საფრთხეს უქმნის თბილისს, როგორც უძველეს ქალაქსა და მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ სიმბოლოსა და მონაპოვარს.მასალების ანალიზით კარგად ჩანს, რომ აშკარაა, ერთხელ ჩადენილის – განმეორების მცდელობა. კერძოდ, თბილისს შეატყუონ ძველი გენგეგმებიდან (რომლებიც მოძველებულია და ვერ ასახავს დღევანდელ რეალობას) გადმოკოპირებული ანალიტიკური მასალით შეზავებული დოკუმენტი, რომლის მიზანია, შეცვალოს ქალაქის ფუნქციონალური ზონები კონკრეტული ჯგუფების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, რაც კარგად შენიღბულ ჯგუფური, პარტიული და კორუფციული მომენტების არსებობასაც არ გამორიცხავს. უკეთეს შემთხვევაში, ეს დოკუმენტი კვლავ წარმოადგენს 2009 წლის გენგეგმის კორექტირებულ ვარიანტს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი გადმოწერილია 2005 წლის გენგეგმის მასალებიდან და ასე შემდეგ. დღეს კი 2017 წელია და ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში, რეგიონში, საქართველოში და თანამედროვე მოთხოვნები სულ სხვა რეალობის გათვალისწინებას საჭიროებს.

ჩვენი პრინციპული პოზიციაა, რომ მგგ-ის დამტკიცება იმპლემენტაციის მიზნით დაუშვებელია. ის შეიძლება მიიღოთ, როგორც საცნობარო დოკუმენტი, როგორც „იდეების ყუთი“ და არა ქალაქის განვითარებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი და პროფესიულ დონეზე მომზადებული სახელმძღვანელო.

დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ფორმით მგგ-ის მიღება ეწინააღმდეგება თქვენ მიერ დაანონსებული თბილისის განვითარების ახალი და თანამედროვე გენგეგმის შექმნას და თქვენ სრულად გამოიყენებთ თქვენს მანდატსა და პოლიტიკურ ავტორიტეტს ამ პროცესის მართებულად წარმართვისთვის.

გამოსავალი საჯაროობაშია!

რადგანაც შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს, თქვენს ყურადღებას მივაქცევთ, თუნდაც თბილისის მუნიციპალიტეტის თხოვნით, აზიის განვითარების ბანკის მიერ დაქირავებული, პარიზში დაფუძნებული კომპანიის, Institut d'aménagement et d'urbanisme d'Ile-deFrance-ის, ექსპერტის – ბატონ ერიკ ჰიუბრეხტის მიერ მომზადებულ დასკვნას „თბილისის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შეფასებისადმი“. გაასაჯაროეთ აღნიშნული ექსპერტული დასკვნა, მოუსმინეთ ადგილობრივ სპეციალისტებს (რომელთა კრიტიკული შენიშვნები სრულად ემთხვევა საერთაშორისო ექსპერტის შენიშვნებსა და წინადადებებს). აქვე იმასაც დავძენთ, რასაც არც მგგ-ის შემქმნელი კომპანია უარყოფს, რომ გგმ-ის შემოთავაზებული პროექტი არ ეყრდნობა არცერთ კვლევას.

მოგიწოდებთ, გაუკეთეთ ორგანიზება დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის (რეალური) შექმნის საჯარო და ღია პროცესს, დაინტერესებული მხარეებისა და თბილისის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, მზად ვართ, ჩავერთოთ ამ პროცესში და მაქსიმალურად დავიხარჯოთ თბილისის სტრატეგიული განვითარებისთვის საჭირო დოკუმენტის შესამუშავებლად.

პატივისცემით,

1. გიორგი (გოგი) ლორთქიფანიძე – „სახალხო თვითმმართველობა“
2. მიხეილ ჯიბუტი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
3. არჩილ კაიკაციშვილი – „ახალგაზრდა ადვოკატები“
4. იოსება არჩუაძე – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
5. ნინო ხაჩიძე – ჟურნალისტი
6. ასლან ფაღავა – პოლიტიკოსი
7. დავით ზარდიაშვილი – საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია
8. თემურ ბასილია – ფინანსისტი
9. დავით გადელია – ექიმი
10. თინათინ თვალაძე – ბლოგერი
11. გიორგი ლომსიანიძე – იურისტი
12. მაგული არჩუაძე – ეკონომისტი
13. მირიან ყარაულაშვილი – მართვის სისტემები
14. რაულ ჩილაჩავა – პოეტი
15. დავით ხვადაგიანი – ჟურნალისტი

წყარო: https://www.facebook.com/gogilord1/posts/1977829625818582?pnref=story

თბილისის ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა 14 ნოემბერს გაიმართება

თბილისის ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა 14 ნოემბერს, 11:00 საათზე გაიმართება, სადაც საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების კანდიდატურებს დაამტკიცებენ.

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახურის ინფორმაციით, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილია გიორგი ტყემალაძის კანდიდატურა; საკრებულოს პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი იქნება, ხოლო მოადგილეები – მარიკა დარჩია და დავით უჯმაჯურიძე.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თანამდებობას დაიკავებს ბექა დავითულიანი, ხოლო მოადგილეების – ვახტანგ შაქარიშვილი, გიორგი მუსხელიშვილი და ჯაბა ჯიშკარიანი.

რაც შეეხება კომისიებს, მმართველი პოლიტიკური გუნდის ხედვით, აღნიშნული მიმართულებით, საკრებულოში დაგეგმილია რეორგანიზაცია, რასაც სტრუქტურული ცვლილებები მოჰყვება.

ადამიანის უფლებების დაცვის კომისია გაერთიანდება იურიდიულ საკითხთა კომისიასთან, ხოლო ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას გამოეყოფა ტრანსპორტის საკითხები და ცალკე კომისიად ჩამოყალიბდება.

ამ ეტაპისთვის არსებულ კომისიებს უხელმძღვანელებენ:

სარევიზიო კომისია – რიმა ბერაძე;

იურიდიული საკითხთა კომისია – ლევან ჟორჟოლიანი;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია – გიორგი ბირბიჩაძე;

განათლებისა და კულტურის კომისია – თამარ ტალიაშვილი;

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია – გიორგი ჩაკვეტაძე;

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია – რევაზ სოხაძე.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიას, მის იურიდიულ საკითხთა კომისიასთან გაერთიანებამდე, დროებით უხელმძღვანელებს თედო ისაკაძე, რომელიც შემდგომში დაიკავებს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის ხელმძღვანელის თანამდებობას;

გარემოს დაცვის კომისია – ერეკლე კუხიანიძე;

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია – ირაკლი ზარქუა;

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია – ოთარ გრიგოლია;

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია – თინათინ ნიბლოშვილი;

მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია – ანა ლაშხი.

მედიანიუსი

5 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობა 23.011-მა უცხოელმა მიიღო

ბოლო 5 წელიწადში, 2013 წლიდან 2017 წლამდე, საქართველოში საქართველოს მოქალაქეობა 23.011-მა უცხოელმა მიიღო, ხოლო ბინადრობის ნებართვა გაიცა 85.604 პირზე. „ბანკებისა და ფინანსების“ ინფორმაციით, 85.604 ადამიანიდან მუდმივი ბინადრობის უფლება მისცეს 26.111 პირს, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვა – 59.493 უცხოელს.

2015 წელს დროებითი ბინადრობის ნებართვა ყველაზე მეტ ადამიანზე – 22.089 პირზე გაიცა, ხოლო მუდმივი ბინადრობის – 9.407 პირზე.

2017 წლის მონაცემებით, დროებითი ბინადრობის ნებართვა მოიპოვა 13.336 პირმა, მუდმივისა კი – 2.820-მა. საქართველოს მოქალაქეობის მიღების ყველაზე დიდი მაჩვენებელი 2013 წელს აღირიცხა – 6.440 ადამიანი, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან 9 ოქტომბრამდე საქართველოს მოქალაქე გახდა 3.097 უცხოელი.

მედიანიუსი

ბახვი 3 ჰესი ბონდების გამოშვებას იწყებს — საპროცენტო განაკვეთი 9.4%-ია

„ბახვი 3 ჰესი“ ნებისმიერ მსურველს სთავაზობს, დააბანდოს თავისუფალი ფულადი სახსრები სასესხო ფასიან ქაღალდებში – 10-წლიან ობლიგაციებში.

ობლიგაციების მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულებაა 1,267,000 აშშ დოლარი.

შესყიდვის მინიმალური ოდენობა – 1.000 აშშ დოლარის ღირებულების 1 ობლიგაცია, ხოლო – წლიურად დარიცხული საპროცენტო განაკვეთი – 9.4%.

ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში და, შესაბამისად, სარგებლის გადახდაც აღნიშნულ ვალუტაში განხორციელდება.

– უნიკალური შემთხვევაა, როდესაც დამოუკიდებლად მოქმედი ჰიდროენერგეტიკული ობიექტი სასესხო ინსტრუმენტებს გამოსცემს, – ამის შესახებ „ბახვი 3 ჰესის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ვახტანგ ღონღაძემ „საქმიან დილასთან“ საუბრისას განაცხადა. მისივე განმარტებით, „ბახვი 3 ჰესის“ საჯარო განთავსება საქართველოს ბაზრისთვის ძალიან საინტერესო წინადადებაა.

– ეს საჯარო განთავსებაა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ობლიგაციების შეძენა. ერთი ობლიგაციის ღირებულება პირობითად 1.000 აშშ დოლარია, ხოლო მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება 1,267.000 აშშ დოლარი და მსურველს ნებისმიერი რაოდენობის ობლიგაციის შეძენა შეუძლია. ობლიგაცია 10-წლიანი ვადით არის, საპროცენტო განაკვეთი 9.4%-ია, რაც საკმაოდ მაღალია. ბანკთან შედარებით შესაძლოა 4-ჯერ უკეთეს პირობასაც ვთავაზობთ, სადეპოზიტო ანაბრების მიმართ გამოყენებულ პროცენტებს და სასესხო განაკვეთს თუ გავითვალისწინებთ.

ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში და შესაბამისად გადახდაც აღნიშნულ ვალუტაში განხორციელდება. გადახდები ყოველ 6 თვეში ერთხელ იწარმოება. შესაძლოა სასესხო ვალდებულების გადაფარვაც მოვახდინოთ ჩვენი დამფინანსებელი ბანკის – „თიბისი“ ბანკის წინაშე. წინასწარ განსაზღვრულია თარიღი, როდესაც ობლიგაციების განაღდება მოხდება და ვფიქრობ, რომ ეს საქართველოს ბაზრისთვის ძალიან საინტერესო წინადადებაა, – აცხადებს „ბახვი 3 ჰესის“ აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ღონღაძე.

„ბახვი 3 ჰესი“ წარმოადგენს გურიის რეგიონში, მდინარე ბახვისწყალზე მდებარე ახლადაშენებულ ჰიდროენერგეტიკულ ობიექტს, 9.8 მეგავატი დადგმული სიმძლავრითა და 41 გიგავატ/სთ საშუალო წლიური გამომუშავებით, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს 2015 წლის ზაფხულიდან და ახორციელებს წარმოებული ელექტროენერგიის მიწოდებას საქართველოსა და თურქეთის ბაზრებზე.

„ბახვი 3 ჰესი“ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ კუთვნილებაა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს „სილქ როუდ ჯგუფის“ შვილობილ საწარმოს.

ბიზნესმედია

გიორგი სამანიშვილი: „ღვინის ექსპორტის ზრდის მიზეზი დარგის შეთანხმებულად მუშაობაა“

„ღვინის ექსპორტის ზრდისა და წარმატების მთავარი მიზეზი არის ის, რომ დარგი შეთანხმებულად მუშაობს“.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი სამანიშვილმა განაცხადა.

ღვინისა და აღკოჰოლური სასმელების ექსპორტი, 10 თვის მონაცემით, 59%-ით გაიზარდა. როგორც სამანიშვილი აღნიშნავს, წლის ბოლომდე დადებითი ტენდენცია გაგრძელდება და ექსპორტზე დაახლოებით 70 მილიონი ბოთლი გავა.

– წლის დასაწყისიდან მოყოლებული ექსპორტი ყოველთვიური ანალიზით დაახლოებით 60%-ით გაიზარდა. ოქტომბერში დაახლოებით სამოცი მილიონი ბოთლი გავიდა ექსპორტზე.

წლის ბოლომდე ეს დადებითი ტენდენცია გაგრძელდება და ვვარაუდობთ, რომ ქართული ღვინის ექსპორტი დაახლოებით 70 მილიონ ბოთლზე ავა. ექსპორტზე გასული ღვინის რაოდენობრივი მონაცემები წლის ბოლოს რეკორდული იქნება. ამ წარმატების მთავარი მიზეზი არის ის, რომ დარგი შეთანხმებულად მუშაობს, – განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, ქართული ღვინო ძირითადად რუსეთში, უკრაინში, ჩინეთში, ყაზახეთში, პოლონეთში, ასევე გერმანიასა და აშშ-ში გადის.

სამანიშვილის აზრით, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ხარისხის კონტროლი, რათა შევინარჩუნოთ ის დადებითი იმიჯი, რაც ახალ ბაზრებზე გვაქვს.

– საბედნიეროდ, საქართველოში მოქმედი ყველა კომპანია ახერხებს, იმ სტანდარტებში ჩაჯდეს, რაც ხარისხიანი ღვინის წარმოებას გულისხმობს. ეს ხარისხი უნდა შევინარჩუნოთ. სტრატეგიული გადაწყვეტილებების შეთანხმება ღვინის კომპანიებთან ხდება და ჩვენ მათ ინტერესებს მუდმივად ვითვალისწინებთ, – განაცხადა სამანიშვილმა.

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი, 10 თვის მონაცემით, 59%-ით გაიზარდა.

2017 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან მსოფლიოს 50 ქვეყანაში ექსპორტირებულია 61 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 59%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 134,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 52%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი – 41% (6.086.733), რუსეთი – 87% (38.355.125), უკრაინა – 48% (6.237.652), პოლონეთი – 18% (2.151.342), ლატვია – 31% (1.279.718), ბელარუსი – 42% (1.318.852), აშშ – 68% (394.464), გერმანია – 57% (367.342), ისრაელი – 149% (180.824), საფრანგეთი – 187% (98.194), აზერბაიჯანი 76% (102.342) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი – 38.355.125, უკრაინა – 6.237.652, ჩინეთი – 6.086.733, ყაზახეთი – 2.671.845 და პოლონეთი 2.151.342 ბოთლი.

ამასთან, მსოფლიოს 22 ქვეყანაში ექსპორტირებულია 13.630.421 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 91%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 29,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი – მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 83%-ს აღწევს.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 219.183 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 198% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 664,6 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 154%-ს მიაღწია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 222,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენს – ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 50% შეადგინა.

კომერსანტი

„კავკასუს როუდ პროჯექტმა“ ბათუმის პორტის ესტაკადის ტენდერი „ბლექ სი გრუპს“ მოუგო

ბათუმის პორტთან გადასასვლელ საავტომობილო ესტაკადას „კავკასუს როუდ პროჯექტი“ ააშენებს.

აღნიშნული ინფორმაცია ,,საქმის კურსს“ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მიაწოდა.

მისი თქმით, კომპანიამ წარმოადგინა ტენდერის პირობებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და დააფიქსირა დაბალი ფასი, სწორედ ამიტომ შეჩერდა ამ კომპანიაზე არჩევანი.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა სულ ორმა კომპანიამ მიიღო, „ბლექ სი გრუპმა“ და „კავკასუს როუდ პროჯექტმა“. სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული პროექტისთვის გამოყოფილი იყო 15.297.410 ლარი, ,,ბლექ სი გრუპის“ შემოთავაზება სწორედ ზემოთ აღნიშნული თანხა გახლდათ, ხოლო ,,კავკასუს როუდ პროჯექტი“ ესტაკადას 14.370.000 ლარად ააშენებს.

ტენდერი 17 ოქტომბერს დასრულდა. სამინისტროს ინფორმაციით ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია, მშენებლობა ხელშეკრულების დადებიდან 320 დღეში უნდა დასრულდეს. სამუშაოები 2017 წელს დაიწყება.

ირაკლი რუხაძემ ჰაიდელბერგცემენტის საქართველოში ბიზნესის 50% იყიდა

ჰაიდელბერგცემენტმა საქართველოში ბიზნესის 50% გაყიდა. წილის მფლობელი ცემენტ ინვესტი გახდა, რომლის მფლობელებიც, თავის მხრივ, თანაინვესტირების ფონდი და ჰუნეველ პარტნიორსია. ჰუნეველ პარტნიორსი ირაკლი რუხაძის კომპანიაა. გარიგების ღირებულება 115 მლნ ევროა.

2006 წლის ბოლოს ჰაიდელბერგცემენტმა განახორციელა პირველი ინვესტიცია კავკასიის რეგიონში, როდესაც შეიძინა აქციები საქართველოში ცემენტის წარმოების კომპანიებში (შპს „საქცემენტის“ რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები, შპს „ქართული ცემენტი“).

„ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაში“ დასაქმებულია 1.000-ზე მეტი ადამიანი.

ბიზნესმედია

მთავრობასა და კომპანიებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების წესი იცვლება

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე გადაცემაში „ანალიტიკა“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის უფროსი ვახტანგ ცინცაძე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას კიდევ ერთ რეგულაციას სთავაზობს და კერძო სექტორთან პირდაპირი შეთანხმებების დადების შეზღუდვას სთხოვს. როგორ ფიქრობთ, რამდენად საჭიროა პირდაპირი შეთანხმებების დადების კიდევ უფრო მეტად შეზღუდვა?

– IMF სრულიად ეთანხმება წარმოდგენილ კანონპროექტს და აღნიშნულმა კანონპროექტმა მათი მოწონება უკვე დაიმსახურა. საქართველოს მთავრობა თავის მხრივ, ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა კანონპროექტის შემუშავების ეტაპზე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და შესაბამისად მათი რეკომენდაციები კანონპროექტში სრულად იქნა ასახული და წარმოდგენილი. ის შეზღუდვები, რომელიც კანონპროექტშია წარმოდგენილი პირდაპირ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია IMF-ის რეკომენდაციების თანახმად.

საინიციატივო შეთავაზების შემთხვევაში პირდაპირი მოლაპარაკებები შესაძლოა მხოლოდ მთავრობის მიერ განსაზღვრულ სექტორებში განხორციელდეს და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ პროექტის ინიციატორი კერძო მხარეა.

– ფრანსუა პეჰშო აღნიშნავს, რომ უფრო ნათლად უნდა იყოს ის პირობები განსაზღვრული, რომლებიც პირდაპირ შეთანხმებებს დაედება საფუძვლად და იგი დასძენს, რომ ამ კუთხით დამატებითი სამუშაო აქვს საქართველოს მთავრობას.

– აღნიშნული კანონპროექტი ჩარჩო-კანონპროექტია, რომელიც ძირითად მიზნებს და პრინციპებს განსაზღვრავს. ასევე იგი მოიცავს პროექტების შემუშავების და განხორციელების ძირითად ასპექტებს. შესაბამისად, კანონპროექტში დამატებითი დეტალების გაჩენა მიზანშეწონილი არ არის. ჩვენ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კომუნიკაცია ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს. მეორადი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში ისინი ჩართულები არიან და დეტალები კონკრეტულად თუ რის მიხედვით განხორციელდება საინიციატივო შეთავაზების შემთხვევაში პირდაპირი მოლაპარაკებები და რა წესს დაექვემდებარება ისინი, უკვე საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება, როგორც ეს კანონშია გაწერილი.

– დღეს, როდესაც თქვენ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მუშაობთ, რა წინასწარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა მათთან კომუნიკაცია, კანონპროექტის ჩანაცვლებას ხომ არ უნდა ველოდოთ ისევ?

– როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიესალმება და ეთანხმება წარმოდგენილ კანონპროექტს და ჩვენ აქ იმაზე ვსაუბრობთ, თუ რა წესებით უნდა განხორციელდეს პირდაპირი მოლაპარაკებები. მთავრობამ სსფ-ის რეკომენდაციების შესაბამისად მაქსიმალურად შეზღუდა პირდაპირი მოლაპარაკებების შესაძლებლობა. ისინი მხოლოდ საინიციატივო შეთავაზებაშია დაშვებული, ანუ როდესაც კერძო კომპანია მოდის პროექტით და მხოლოდ კონცენსიურ შეთანხმებებში და მხოლოდ იმ სექტორებში, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ იქნება დადგენილი.

მსგავსი ტიპის მოლაპარაკებები ძალიან შეზღუდულ სექტორებში იქნება დასაშვები. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი არგუმენტია, როდესაც კერძო კომპანიაა პროექტის ინიციატორი იგი აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე პროექტის ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებებს და სხვა მნიშვნელოვან უფლებებს ფლობს. შესაბამისად, ის მიდგომა, რომ ყველა შემთხვევაში პროექტი საჯარო შერჩევის წესს დაექვემდებაროს სწორი არ იქნება. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვითაც ასე არ ხდება და სხვადასხვა ქვეყნები მსგავს შემთხვევებს სხვადასხვანაირად არეგულირებენ.

– სსფ-ის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ბაზარზე თავისუფალი კონკურენცია იზღუდება. ახალი კანონპროექტი აღნიშნულ პრობლემას დღის წესრიგიდან ხსნის?

– კანონპროექტი კონკურენციას ცალსახად არ ზღუდავს. პირიქით იგი ძალიან გახსნილ და ღია პროცედურას აწესებს ყველა საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შერჩევისთვის. ერთადერთი გამონაკლისი ის საინიციატივო შეთავაზებაა, როდესაც კერძო კომპანია მოდის თავისი პროექტით, რაზეც მას გარკვეული ტიპის ინტელექტუალური საკუთრების თუ სხვა სახის უფლებები გააჩნია.

იმაში, რომ კანონპროექტი რაღაც კუთხით კონკურენციას ზღუდავს, ვერ დაგეთანხმებით. პირიქით, კანონპროექტი კონკურენციას მაქსიმალურად ხელს უწყობს და ყველა პროცედურის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს, რაც მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების გაფორმებასთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია პროცესი ყველა ეტაპზე გამჭვირვალე იყოს. აღნიშნული კანონპროექტი გამჭვირვალობასა და კომპანიებს შორის კონკურენციას მაქსიმალურად უზრუნველყოფს.

– კერძო სექტორის პოზიციების მიმართ როგორია თქვენი დამოკიდებულება?

– ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ კერძო ინიციატივების შემთხვევაში კანონპროექტი უკვე შესაბამის სტიმულებს განსაზღვრავს, თუ რატომ უნდა მოიტანოს კერძო პარტნიორმა პროექტი სახელმწიფოსთან. ერთი უკვე განვიხილეთ და მეორე არის ის შემთხვევა, როდესაც აღნიშნული პროექტი საჯარო შეთავაზების ფორმატში გამოდის, ანუ პროექტის კონკურსის წესით შერჩევა ხდება თუ ვინ იქნება პროექტი განმახორციელებელი. ასეთ შემთხვევაში თუ კერძო მხარე, რომელიც პროექტს წარმოადგენს არ იქნება კონკურსში გამარჯვებული, გამარჯვებული მხარე მას პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აუნაზღაურებს.

როდესაც ჩვენ ამ კანონპროექტზე ვმუშაობდით, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება ძალიან კარგად შევისწავლეთ, სხვადასხვა სტიმულებს გავეცანით და ამ ორი სახის სტიმულზე შევჯერდით, რაც აღნიშნულ კანონპროექტშია ჩადებული. კანონპროექტი სახელმწიფოს მხარდაჭერის სახეებს განსაზღვრავს, თუ რა კუთხით შეიძლება სახელმწიფომ მოახდინოს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების მხარდაჭერა. ეს შესაძლოა იყოს გარანტიები მომსახურებაზე, მოხმარებაზე, ტარიფებზე, ასევე შეიძლება ინტელექტუალური საკუთრების გარკვეული სახის გადაცემა იყოს, ან კონკრეტული კომერციული საქმიანობის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭება და სხვა მრავალი. კონკრეტულ პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება კონკრეტულ მხარდაჭერის სახეებზე შეთანხმება და მოლაპარაკების მიღწევა.

ზოგადად აღნიშნული კანონპროექტის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ის, რომ პროექტების განხორციელება გამჭვირვალე იყოს. შესაბამისად, ყველა ინფორმაცია პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით არის და იქნება საჯარო, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საიდუმლო ინფორმაციისა.

თუ ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებას არ შეიცავს და სხვა სახის საიდუმლოსთან არ არის დაკავშირებული, იგი საჯარო იქნება და ყველა მხარეს ექნება აღნიშნული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. კანონპროექტი ითვალისწინებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ორგანოს შექმნას, რომელიც PPP პროექტების ბაზის მართვას მოახდენს და ინფორმაციას პროაქტიულ რეჟიმში გამოაქვეყნებს.

ბიზნესმედია

ზაზა სინაურიძე: „ზოგმა კლინიკამ ოპერაციაზე დაბალი ფასი დადო, ზოგმა კი – რამდენჯერმე მაღალი“

პარლამენტმა ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე რეფორმა დააანონსა, რომლის მიხედვითაც საყოველთაო ჯანდაცვაში ცვლილებები შედის.

ერთ-ერთი სიახლე ის არის, რომ ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვის მსურველ კლინიკებს ოპერაციის თანხებს სახელმწიფო დაუდგენს. აღნიშნულ თემაზე გადაცემა „საქმის კურსში“ სამშობიარო PINEO Luxury-ის დირექტორი **ზაზა სინაურიძე** საუბრობს.

– ბატონო ზაზა, რამდენად სამართლიანია ერთიანი ტარიფების დადგენა ყველა ოპერაციაზე ყველა კლინიკისთვის?

– საინტერესო საკითხია სამართლიანობასთან არის დაკავშირებული, რადგან ეს არ არის ფასი, რომელიც ჰაერიდან მოდის. ეს არის ფასი, რომელიც შეწონილ ყველა იმ პროცედურას, დიაგნოსტიკურ მანიპულაციას თუ მედიკამენტს გულისხმობს, რომელიც ამ დიაგნოზის გარშემო ტრიალებს. შესაბამისად, ამ დიაგნოზთან რა პროცედურაც შეიძლება მიმართებაში იყოს, ის ყველაფერი შეწონება და დაითვლება. სამართლიანობას რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე სამართლიანი გზა არის, ვინაიდან იდეაში ნებისმიერი მანიპულაცია გათვლილი უნდა იყოს.

– დღეს რა ვითარებაა სექტორში, რას ეფუძნება ის აზრი, რომ ერთსა და იმავე ოპერაციაზე სხვადასხვა კლინიკაში ფასებზე საკმაოდ სოლიდური სხვაობაა?

– ნამდვილად ვერ გეტყვით, ემპირიული ფასი იყო დადგენილი და ამ ფასიდან გამომდინარე ზოგიერთმა კლინიკამ ბევრად დაბალი ფასი დადო, ზოგმა კი პირიქით, რამდენჯერმე დიდი ფასი დააწესა. სამედიცინო პროცესის ფისკალიზაცია, ანუ გათვლა დღევანდელ ტარიფებში ფაქტობრივად გააზრებული არ არის.

– როგორ ფიქრობთ, შეუშლის თუ არა ეს ხელს სექტორის განვითარებასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, თუ ბაზარზე ყველა კლინიკისთვის ერთიანი თამაშის წესები იქნება?

– ჩემი აზრით, პირიქით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვფიქრობ, რომ ხშირ შემთხვევაში რაღაც ქეისი გაცილებით მეტ დანახარჯს ითხოვს, ვიდრე მაგალითად, საყოველთაო ჯანდაცვის ანაზღაურება. შესაბამისად თუ ეს დაჯგუფდა და აღნიშნული ქეისები ცალკე ჯგუფად იქნა გამოყოფილი, ამ შემთხვევაში ხშირად უფრო მეტად იქნება გასწორებული ყველა ის ხარჯი, რომლის გადაფარვაც კლინიკას სხვა პაციენტების ხარჯზე უწევს. უფრო მეტი საშუალება დარჩება იმისთვის, რომ ახალი ტექნოლოგიები შეიძინოს კლინიკამ და რაც მთავარია, სამედიცინო პერსონალის პროფესიულ ზრდაზე მეტს იზრუნებენ.



– 2014 წელს თქვენ განაცხადეთ, რომ ინვესტორების კერძო ინტერესებს ეწირება სამედიცინო მომსახურების ხარისხი. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევა სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესებას ხომ არ შეუწყობს ხელს, რაზეც 2018 წელს განსახორციელებელი რეფორმებია ორიენტირებული?

– რა თქმა უნდა, ზუსტად ამაზე ვსაუბრობდით 3-4 წლის წინ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, კონკრეტული თანხის უკან სამედიცინო პროცესის ფისკალიზაცია, ანუ გათვლა დღევანდელ ტარიფებში ფაქტობრივად გააზრებული არ არის.

– როგორ ფიქრობთ, შეუშლის თუ არა ეს ხელს სექტორის განვითარებასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, თუ ბაზარზე ყველა კლინიკისთვის ერთიანი თამაშის წესები იქნება?

– ჩემი აზრით, პირიქით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვფიქრობ, რომ ხშირ შემთხვევაში რაღაც ქეისი გაცილებით მეტ დანახარჯს ითხოვს, ვიდრე მაგალითად, საყოველთაო ჯანდაცვის ანაზღაურება. შესაბამისად თუ ეს დაჯგუფდა და აღნიშნული ქეისები ცალკე ჯგუფად იქნა გამოყოფილი, ამ შემთხვევაში ხშირად უფრო მეტად იქნება გასწორებული ყველა ის ხარჯი, რომლის გადაფარვაც კლინიკას სხვა პაციენტების ხარჯზე უწევს. უფრო მეტი საშუალება დარჩება იმისთვის, რომ ახალი ტექნოლოგიები შეიძინოს კლინიკამ და რაც მთავარია, სამედიცინო პერსონალის პროფესიულ ზრდაზე მეტს იზრუნებენ.

– 2014 წელს თქვენ განაცხადეთ, რომ ინვესტორების კერძო ინტერესებს ეწირება სამედიცინო მომსახურების ხარისხი. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევა სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესებას ხომ არ შეუწყობს ხელს, რაზეც 2018 წელს განსახორციელებელი რეფორმებია ორიენტირებული?

– რა თქმა უნდა, ზუსტად ამაზე ვსაუბრობდით 3-4 წლის წინ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, კონკრეტული თანხის უკან სამედიცინო პროცესის აღწერილობა იდგეს. აღნიშნული თანხა პაციენტების ხარისხიან მომსახურებას მოხმარდება. ამ შემთხვევაში მედიცინის დონეც და ხარისხიც აიწევს და ინვესტორებსაც, რა თქმა უნდა, სარგებელი ექნებათ. ოღონდ ეს ვიღაცის ხარჯზე არ იქნება, იგივე სამედიცინო პერსონალის, მედიკამენტის ან პაციენტის ხარჯზე არ იქნება.

– პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძის განცხადებით, მედპერსონალს რომ რამდენიმე დაწესებულებაში უწევს მუშაობა, ეს შეცდომის ალბათობას გაზრდის. დგას თუ არა რეალურად აღნიშნული პრობლემა დღეს სისტემაში?

– ისევ ხარისხიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ე.წ. გუნდური მიდგომა. ნებისმიერი მენეჯერი, რომელიც საავადმყოფოს მართავს, გუნდი უნდა ყავდეს ჩამოყალიბებული. მედიცინა დღეს ისე სწრაფად ვითარდება მარტო ერთი ექიმი ვერ მოერევა ყველა თანმხლებ ნოზოლოგიას. შესაბამისად, გუნდური მიდგომა მთელ მსოფლიოში პრიორიტეტად არის. ძალიან რთულია, როდესაც შენი გუნდის წევრი იმ მომენტში როდესაც იგი გჭირდება არ არის. ამიტომ, ვფიქრობ, უფრო უპრიანი იქნება საუბარი იგივე სამუშაოს აღწერილობის ზუსტად, ზედმიწევნით შესრულებაზე 9 საათიდან 6-მდე და 6 საათის შემდეგ ის ადამიანი სად წავა ეს მისი პირადი საქმეა. თუ ექიმი სამუშაოს აღწერილობას არღვევს და სამსახურიდან ადრე გარბის, მაშინ რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია. თუმცა ეს უფრო მენეჯერების დასარეგულირებელია და არა სახელმწიფოსი.

– შემოსავლები როგორ უნდა გაიზარდოს, რომ სამედიცინო პერსონალს რამდენიმე სამსახურში არ მოუწიოს მუშაობა?

– ყველა ადამიანს თავისი მოთხოვნა აქვს და, აქედან გამომდინარე, მე ვერ გეტყვით, ვინ რა ფარგლებში დარჩება ერთ საავადმყოფოში, თუმცა აღვნიშნავ, რომ მე ბევრჯერ მიმუშავია საზღვარგარეთ და ცხადია, იქაც სამუშაო აღწერილობას თუ ასრულებ, არავინ აღარ გეკითხება, საღამოს სად მიდიხარ და დამატებით შემოსავალს საიდან შოულობ. თუ ეს მენეჯერის დონეზე იქნება დალაგებული, ვფიქრობ, პრობლემა აღარ იქნება.

ბიზნესმედია

რევაზ არველაძე: „ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმება ნაადრევია“

– ენერგეტიკაში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა და ენერგეტიკის სამინისტრო უნდა იყოს შენარჩუნებული.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა, ენერგეტიკოსმა რევაზ არველაძემ ენერგეტიკის სამინისტროს მოსალოდნელი გაუქმებისა და მისი ეკონომიკის სამინისტროსთან შეერთების თაობაზე განუცხადა.

არველაძემ აქვე დასძინა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე პირადად მისთვის არაფერია ცნობილი.

– მიმაჩნია, რომ ამის გაკეთება ჯერ ნაადრევია და ეს არ უნდა მოხდეს. საქართველოს ენერგეტიკა ისეთ დონეზე არ არის, რომ თუნდაც თავად აკმაყოფილებდეს მოსახლეობის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაში. ცალკე სამინისტრო სწორედ იმისთვის არის, რომ მხოლოდ ამ საქმეებით იყოს დაკავებული – ეს არის ენერგეტიკული სისტემის განვითარება, იმ ენერგოშემცველების მოწოდების დივერსიფიკაცია, რომელიც საქართველოს თვითონ არ გააჩნია და იმპორტით შემოაქვს.

გადასაწყვეტია ბევრი პრობლემა, რომელიც სერიოზულ განხილვებს მოითხოვს და დიდი პროფესიონალიზმი და გამოცდილება სჭირდება, თუნდაც ისეთ საკითხზე, როგორიცაა ენერგიის განახლებადი წყაროების არჩევა. ჩვენ გვაქვს ენერგიის განახლებადი წყაროების სამი ძირითადი სახეობა: ჰიდროენერგია, ქარი და მზე. როდესაც არ არის ენერგეტიკის სამინისტრო და არის ეკონომიკის სამინისტრო, რომელიმეს წინ წამოწევა შეიძლება რაღაც სუბიექტური მიზეზებით მოხდეს. ენერგეტიკაში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა და ენერგეტიკის სამინისტრო უნდა იყოს შენარჩუნებული – ყოველ შემთხვევაში ვიდრე დაბალანსებული ენერგოსისტემა მაინც არ გვექნება ნორმალური, – განუცხადა არველაძემ „ინტერპრესნიუსს“.

არსებული ინფორმაციით, მთავრობაში სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება, მათ შორის ენერგეტიკის სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან ერთიანდება.

„ქართული ზეთისხილი“ მწვანე ზეთისხილის მარინადს გამოუშვებს

ბაზარზე ქართული ზეთისხილით დამზადებული მწვანე ზეთისხილის მარინადი გამოჩნდება. პროდუქტს კომპანია „ქართული ზეთისხილი“ გამოუშვებს, რომელიც უკვე აწარმოებს ზეთისხილის ზეთს.

კომპანიის ინფორმაციით, პროდუქცია ბაზარზე დაახლოებით 2-3 თვეში გამოჩნდება. მანამდე კი პროდუქტი რამდენიმე ეტაპს გაივლის: კალიბრაცია ზომების მიხედვით, დასერვა და დამარილება.

„ქართული ზეთისხილი“ მოგვიანებით ბაზარზე შავი ზეთისხილის მარინადსაც გამოუშვებს.

ზეთისხილის გადამამუშავებელი პირველი, მაღალტექნოლოგიური საწარმო სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში უკვე მუშაობს.

სამართალი

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1960 წელს დაბადებული კ.ჯ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაბა წყნეთში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კალაშნიკოვის სისტემის არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 6 მჭიდი და 227 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ვარგისია სროლისათვის. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით).

შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ერთი პირი ამხილა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ახალციხეში, 1958 წელს დაბადებული მ.ი. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული დროებით მფლობელობაში არსებულ თურქულ ბარში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, მოქალაქეებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდა.

სამართალდამცველებმა ბარში მომუშავე პერსონალი მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლით).

„ერთი-ორი პოლიციელი აუცილებლად დატოვებთ სამსახურს“

ბათუმში დაკავებული ანრი ბიბინეიშვილი პოლიციას ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს

11 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მსახიობი ანრი ბიბინეიშვილი 250 ლარით დააჯარიმა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი სწორედ ამ დღეს გაიმართა.

ბათუმის პოლიციის მე-6 განყოფილების თანამშრომლებმა მსახიობი 11 ნოემბერს, დილით, გოგებაშვილის ქუჩაზე დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ის ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და არ დაემორჩილა პოლიციის მოთხოვნას, რის გამოც დააკავეს. მას ბრალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ორი მუხლით წაუყენეს.

ბიბინეიშვილის განცხადებით, მას ხმამაღალი შელაპარაკება მეგობართან მოუვიდა, რამაც სამართალდამცავების ყურადღება მიიქცია. მსახიობი პოლიციის თანამშრომლებს უხეშ მოპყრობაში ადანაშაულებს.

– გარეთ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოხდა ხმამაღალი საუბარი, რის შემდეგაც რატომღაც გამოიძახეს დაცვის პოლიცია, რის შემდეგაც ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლიც გავხდი, განსაკუთრებული აგრესიით მეექვსე განყოფილება გამოირჩეოდა, რაც შეეხება მეექვსე განყოფილებას, მეტი თავაზიანობა, პატივცემულებო, მაგრამ ერთი-ორი აუცილებლად დატოვებთ სამსახურს, მე გაძლევთ მაგის პირობას, ანრი ბიბინეიშვილი, იმიტომ, რომ თქვენ ხართ ადამიანები, რომლებსაც ვერ გაუთავისებიათ, რას ნიშნავს თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობა, უფლებების დაცვის ნაცვლად, თქვენ უფლებებს არღვევთ, – განაცხადა ანრი ბიბინეიშვილმა.

რა განაპირობებს პუტინის პოლიტიკის მარცხს?

მარიამ მჭედლიშვილი

დასავლელი ექსპერტები ხშირად წერენ, რომ დასავლეთი არასაკმარისად მკაცრად რეაგირებს რუსეთის აგრესიაზე მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონში. არსებობს მოსაზრება, რომ გამკაცრებული სანქციებიც კი კრემლის ახლანდელი მმართველების პოზიციებს ვერ შეარყევს და საჭიროა უფრო ქმედითი ზომები.

„ბლუმბერგის“ ანალიტიკოსები აფასებენ პუტინის მიერ ბოლო წლებში გადადგმულ ნაბიჯებს. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დემოკრატიების ტროლინგით დაკავებულმა პუტინმა უამრავი შეცდომა დაუშვა. საუბარია სხვა ქვეყნების არჩევნებში ჩარევაზე 2016 და 2017 წლებში.

ანალიტიკური ცენტრის სპეციალისტების მსგავსი მოსაზრებები აქვს ესტონეთის ყოფილ პრეზიდენტს, ტოომას ილვესს. მისი აზრით, პუტინმა და მისმა ქვეშევრდომებმა ყველა ჩანაფიქრი შეასრულეს, თუმცა, მაინც წააგეს:

– ეს შესანიშნავად შესრულებული სამუშაოა, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით სრული ჩავარდნა. მათ გაიფუჭეს ურთიერთობა დასავლეთის მსხვილ სახელმწიფოებთან, სადაც თავიანთ ფულს ათეთრებდნენ.

„ბლუმბერგის“ სიტყვებით, სანამ პუტინი მოითხოვს თავისი ტროლების, ჯაშუშების, დიპლომატებისა და ლობისტებისაგან, გამოიყენონ ნებისმიერი შესაძლებლობა დასავლეთის სახელმწიფოებში განხეთქილების დასათესად, რუსეთი ყველასგან მოიკვეთება.

ავტორების თქმით, ყირიმის დაპყრობითა და ანექსიით, უკრაინის აღმოსავლეთში ომის გაჩაღებით, სირიაში შესვლით, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში წარმოებული მავნებლური კამპანიით, მთელ ევროპაში რადიკალური მემარჯვენეების მხარდაჭერით კრემლმა შეძლო მოეხდინა გავლენა ადამიანებსა და მოვლენებზე, მაგრამ ამ პროცესში ვერ შეიძინა მეგობრები.

პუტინის გარემოცვას ახალი პრობლემები აქვს. რისკის ქვეშაა მათი დასავლური აქტივები. გარდა ამისა, მათ დაზარალებს სანქციები.

გლობალური ტროლის როლის შესრულება რუსეთს მომავალშიც მარტო მოუწევს. პუტინით აღფრთოვანებულია მხოლოდ ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის ლიდერი, მაგალითად, ფილიპინების პრეზიდენტი დუტერტე.

ანალიტიკოსების აზრით, პუტინის მთავარი ამოცანა იმის დამტკიცებაა, რომ დასავლეთში განხეთქილებაა. ამას დასავლეთმა დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყარითა და ქმედითობით უნდა უპასუხოს. სანამ დასავლეთში უთანხმოებაა, პუტინი ბოლომდე დამარცხებულად ვერ ჩაითვლება.

სხვა ექსპერტები საფრთხეს ხედავენ, რომ რუსეთი ახალ ალიანსებს ქმნის. მოსკოვი დაუახლოვდა ნატოს წევრ თურქეთს, ასევე ირანს. კრემლს ისევ გავლენა აქვს ბალკანეთის მთელ რიგ ქვეყნებზე.

პუტინის უკანდახევად აღიქმება მისი ინიციატივა დონბასში გაეროს სამშვიდობო ძალების მისიის განთავსების შესახებ. მისიის განლაგებამდე, თუ ეს გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო, დიდი დროა. ამჟამად არსებული ინფორმაციით, რუსეთი ამ რეგიონში სამხედრო პროვოკაციებს აწყობს.

გერმანელი ექსპერტების ინფორმაციით, რუსეთში იზრდება არაევროპული იდენტობის ცნება, რაც რუსეთს უფრო აშორებს ევროპას. დასავლეთისგან რუსეთის მოსალოდნელ იზოლაციაზე რამდენიმე თვეა, საუბრობენ.

იზოლაცია რუსეთისთვის დამაზიანებელი იქნება. საკითხავია, მოიტანს თუ არა ეს შედეგს საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიები ოკუპირებული აქვს რუსეთს.

მაიკ პომპეო: „რუსეთი აშშ-ის არჩევნებში ჩაერია!“

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს-ის) დირექტორმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ის არჩევნებში მართლაც ჩაერია.

– ეს ფაქტებით მტკიცდება, – ამბობს პომპეო.

აშშ-ის კონგრესის სადაზვერვო საკითხების კომიტეტის წევრმა ადამ შიფრმა (დემოკრატიული პარტია) განაცხადა, რომ თუ რუსები არჩევნებში ჩაერივნენ, გამოდის, რომ პრეზიდენტი ტრამპი რუსების მიერაა მოყვანილი.

– ტრამპი ვერავის მოატყუებს! რადგან მტკიცდება, რომ რუსეთი ჩვენს არჩევნებში მართლაც ჩაერია, გამოდის, ტრამპმა ამ ჩარევის შედეგები მოიმკო, – თქვა შიფრმა.

იცოდა თუ არა ტრამპმა თავისი გარემოცვის რუსებთან კონტაქტების შესახებ?

სპეციალურმა ჯგუფმა, რომელსაც სპეცპროკურორი მიულერი უდგას სათავეში, ტრამპის საარჩევნო შტაბის თანათავმჯდომარე სემ კლოვისი დაკითხა.

– ის, რომ ტრამპის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა რუსებთან იყო დაკავშირებული, უკვე დადგენილია. ახლა მთავარია დავადგინოთ, იცოდა თუ არა ამის შესახებ ტრამპმა, – ამბობს მიულერი.

სემ კლოვისი ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მრჩეველია. მან გამოძიებასთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა.

პოლონეთის პრეზიდენტი უკრაინაში ჩავა

პეტრო პოროშენკოს მიწვევით პოლონეთის პრეზიდენტი ანჟეი დუდა უკრაინაში ჩავა.

ვიზიტის მიზეზი უკრაინა-პოლონეთს შორის დაძაბულობის ზრდაა. ვარშავაში უკვე დაუფარავად აცხადებენ, რომ უკრაინის აჯანყებულთა არმიისა (უპა) და სტეპან ბანდერას ჰეროიზაცია მათთვის მიუღებელია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ პოლონეთმა პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა უკრაინის ნაციონალური ხსოვნის ინსტიტუტის დირექტორი ვიტროვიჩი, რომელიც უპა-სა და ბანდერას შესახებ ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი ინიციატორია.

დოკუმენტებიდან, რომლებიც ვიტროვიჩის თაოსნობით გამოქვეყნდა, ჩანს, რომ ბანდერა, შუხევიჩი, კლიმ სავური თუ სხვები ჰიტლერული რაიხისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

– უკრაინის ხელისუფლებაში ანტიპოლონური ორიენტაციის მოღვაწეები იმყოფებიან. ეს დაუშვებელია! – განაცხადა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშჩიკოვსკიმ.

უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა და რადიკალური პარტიის ლიდერმა ოლეგ ლიაშკომ კი განაცხადა, რომ პოლონელები ცდილობენ, უკრაინელებს ისტორიის თავიანთი კონცეფცია თავს მოახვიონ.

– პოლონეთი, რუსეთის მსგავსად, შოვინიზმის ბაცილისგან ჯერჯერობით ვერ გათავისუფლდა! რუსეთმა უკრაინისთვის ნების თავს მოხვევა ვერ შეძლო, პოლონელები ამას მით უმეტეს ვერ მოახერხებენ. პოლონეთის ხელისუფლებასაც მოვუწოდებ, ეს შეიგნოს და სისულელეებს თავი დაანებონ! – ამბობს ლიაშკო.

ანჟეი დუდას კიევში ვიზიტის მიზანი ორ ქვეყანას შორის წარმოქმნილი დაძაბულობის განეიტრალებაა.

მაიკ ფლინი გიულენის გატაცებას აპირებდა?

დონალდ ტრამპის ყოფილ მრჩეველ მაიკ ფლინს შესაძლოა ახალი ბრალდება წაუყენონ. სპეცპროკურორმა მიულერმა განაცხადა, რომ ფლინი აშშ-ში მცხოვრები თურქი მქადაგებლის გიულენის გატაცებასა და მის თურქეთისთვის გადაცემას აპირებდა.

გიულენი ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი მას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებს.

გამოძიება ხაზს უსვამს, რომ ერდოღანმა გიულენის დანაშაულის დამამტკიცებელი ვერცერთი საბუთი ვერ წამოაყენა. შესაბამისად, მისი გატაცება და თურქეთის ხელისუფლებისთვის გადაცემა სისხლის სამართლის დანაშაულია.

თუ ბრალდება დამტკიცდა, ფლინს პატიმრობა მოელის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

გია გეგუჩაძის ნაკრებმა ისევ ვერ მოიგო

საქართველო-ფინეთი 2:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 კალმანი (9), 1:1 ბერიძე (59), 1:2 კალმანი (83), 2:2 ჭანტურია (86)

საქართველო: კუპატაძე, ჩაბრაძე, მარგველაშვილი, ტაბიძე, მამუჩაშვილი, კიტეიშვილი, მიქელთაძე (არაბიძე 53), ზარანდია (კოხრეიძე 69), რომან ჭანტურია, მოხევიშვილი (ბერიძე 53), შულაია

ფინეთი: კეტო, ჰამალაინენი, იენსენი, კირტიოკი, ვაისანენი, ნისილა (იარვინენი 82), კალმანი, ჰოსტიკა (ალა-მილიმაკი 64), დალსტრიომი, კაირინენი, ლაპანაინენი

ევროპის ახალგაზრდული საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ისევ ვერ მოიგო. ამჯერადაც შინაურ „მიხეილ მესხზე“ ფინეთის ნაკრებს ვერ სძლიეს – 2:2. ალბათ, სულაც არ არის სასიხარულო ფაქტი, რომ გია გეგუჩაძის გუნდმა პირველი ქულა მოიპოვა მიმდინარე შესარჩევ ციკლში.

ამაზე ცუდი შედეგი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს აქამდე არ უჩვენებია.

გეგუჩაძის გუნდს არ უჩვენებია გააზრებულია კომბინაცია და ძირითადად ინდივიდუალიზმის ხარჯზე ცდილობდა შედეგის მიღებას, ფინელები კი პირიქით – თანამედროვე ფეხბურთის ხარჯზე, სწორად და პრაგმატულად...

ძალიან სუსტად გამოიყურებოდა დაცვის ხაზი, ისევე როგორც საყრდენი ნახევარმცველები. კუთხურების დროს რატომღაც ზონურ დაცვას ვცდილობდით და ეს ჩვენს კართან ხიფათს ქმნიდა. საერთოდ, 5-6 ფეხბურთელი საერთოდ ვერ ტოვებდა სანაკრებო შთაბეჭდილებას.

ანგარიში მეცხრე წუთზე ფინეთის ნაკრებმა გახსნა, კაირინენის შესრულებულ კუთხურს კალმანის თავური დარტყმა მოჰყვა – 0:1.

შემდეგ იყო ლუკა ზარანდიას მომენტი. ცხადია, ინდივიდუალიზმის ხარჯზე ქართველი ფეხბურთელი მარჯვენა ფლანგზე 2 მეტოქეს გაცდა, საჯარიმოში შეიჭრა, მეკარესთან პირისპირ გასულს ფინელმა მეკარემ არ გაატანინა.

კალმანს მეორე გოლის გატანა პირველივე ტაიმში შეეძლო, როდესაც ეროვნული ნაკრების კანდიდატ ჯიმი ტაბიძეს გასცდა, საჯარიმოში შეიჭრა, მახვილი კუთხიდან კარისკენ დაარტყა, თუმცა კუპატაძემ ბურთი მოიგერია.

მალევე ქართველთა შეტევა ზარანდიას კარისკენ დარტყმით დასრულდა, თუმცა მეკარემ მოახერხა ბურთის კუთხურზე მოგერიება.

მეორე ტაიმში პირველი სახიფათო მომენტი ფინელების იყო და გოლის გატანის რეალური შანსი ვერ გამოიყენეს.

59-ე წუთზე გიორგი არაბიძის აქტიურ თამაშს გიორგი ბერიძის დარტყმა მოჰყვა, ბურთი ფინელ ფეხბურთელს გაუძვრა და კარის ბადეში აღმოჩნდა – 1:1.

გოლის გატანის შემდეგ საქართველოს ნაკრების უპირატესობას კი ფლობდა და ზარანდიას ისევ არ გაუმართლა, როდესაც ტექნიკური დარტყმით ცდილობდა გატანას, მაგრამ სულ ეს იყო – უფრო მეტი მომენტი ფინელებს ჰქონდათ.

73-ე წუთზე ფინეთის ნაკრებმა გოლის გატანის რეალური შანსი გაუშვა ხელიდან, სტუმართა კუთხურს ვაისანენის თავური დარტყმა მოჰყვა, ბურთი მილიმეტრებში აცდა კარს, საქართველოს ნაკრები აშკარა გოლს გადაურჩა. რამდენიმე წუთში ვაისანენს გოლის გატანის რეალური შანსი ჰქონდა, საჯარიმოში მყოფმა კარისკენ სახიფათოდ დაარტყა, თუმცა ამჯერადაც მცირე მანძილით ასცდა ბურთი კარს.

83-ე წუთზე ფინეთის ნაკრებმა მეორე გოლი მაინც გაიტანა: საქართველოს ნაკრების დაცვის ხაზი კიდევ ერთხელ შეცდა, კალმანმა დუბლი შეასრულა.

86-ე წუთზე აკაკი შულაიას ფლანგური ჩაწოდების შემდეგ რომან ჭანტურიამ ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

მათიაშვილის რეკორდი, ულამაზესი ლელო და გაფანტული ნეკერჩხლები

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჯერ მეტი – 6. კანადას ყველაზე მეტი – 13 ქულის სხვაობით 6 თვის წინ ქალგარიში ვძლიეთ, ახლა კი სხვაობა 32-მდე გაიზარდა. დღემდე ურთიერთშეხვედრებში წინ მუდამ კანადა გადიოდა, ამჯერად ბორჯღალოსნები 4:3 დაწინაურდნენ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სოსო მათიაშვილის ინდივიდუალური რეკორდი, რომელმაც 2 ლელოთი, 6 გარდასახვითა და 4 ჯარიმით 34 ქულა მოინაგრა და ერთ მატჩში ერთი მორაგბის მიერ მოპოვებული ქულების წინა რეკორდი 2-ით გააუმჯობესა. 2010 წლის 6 თებერვალს ბორჯღალოსნებმა გერმანიას 77:3 სძლიეს და მაშინ მერაბ კვირიკაშვილმა 2 ლელოთი და 11 გარდასახვით პირად ანგარიშზე 32 ქულა ჩაიწერა.

24 წლის მათიაშვილმა ბორჯღალოსანთა კვართით მეოთხედ ითამაშა, პირველად სასტარტოში ფულბეკის პოზიციაზე. მან ტაიმში თითო ლელო გაიტანა, კარში 11-ჯერ დაარტყა და 10-ჯერ ბურთი ძელებსშუა გააძვრინა. 4 მატჩის ჯამში სოსოს მონაგარი 48 ქულაა (4 ლელო, 8 გარდასახვა, 4 ჯარიმა).

ერთ მატჩში აღებულ ყველაზე მეტ ქულებზე ვსაუბრობთ და აქვე გეტყვით, რომ ამ მხრივ რეკორდსმენი ჰონგკონგელი ბილინგთონია, რომელმაც 1994 წელს სინგაპურს 10 ლელო გაუტანა (50 ქულა).

ბორჯღალოსნებმა კანადის ძლიერ გუნდს უწინარესად კლასით აჯობეს, შეცდომები არ აპატიეს და პრაქტიკულად ყველა შესაძლებლობიდან ქულები აიღეს. შეცდომები დაცვაში ყურადღების მოდუნება არც მეტოქემ გვაპატია და 3 საპასუხო ლელო გაიტანა.

მილთონ ჰეიგმა „ნეკერჩხლებთან“ მატჩისთვის ერთგვარ ექსპერიმენტს მიმართა და უკანა ხაზში სამი ახალგაზრდა მორაგბე ვიხილეთ. სიახლემ აშკარად გაამართლა: მათიაშვილზე ზემოთ ვისაუბრეთ; დებიუტანტმა მირიან მოდებაძემ ფრთაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ბორჯღალოსანთა მაისურით ბურთთან პირველივე შეხებით, მატჩის პირველი ლელოს თანაავტორიც გახდა; მეორე გარემარბი გიორგი კოშაძე იყო, რომელმაც რამდენჯერმე სცადა შეტევის გამწვავება; 72-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა კიდევ ერთი დებიუტანტი გიორგი კვესელაძე, რომელსაც მატჩის დღეს 20 წელი შეუსრულდა.

მასპინძლები დებიუტშივე კარგად დამუშავებული კომბინაციის შედეგად დაწინაურდნენ: დერეფნის შემდეგ ლაშა ხმალაძემ ბურთი ფეხით გამოზომილად, მარცხენა ფლანგზე ჩაკიდა, იქ მას მოდებაძე დაეუფლა, შებოჭილმა ოფლოუდი მათიაშვილს ამოუგდო და ალამთან დადებული ლელო თავადვე რთული პოზიციიდან გარდასახა. აღსანიშნავია, რომ ბორჯღალოსნებმა მეტოქეს ფეხით თამაშში სრულად აჯობეს და ხმალაძემ, მათიაშვილმა თუ ვასილ ლობჟანიძემ თითქმის ყველა ჯერზე შეძლეს ბურთის თავისუფალ ზონაში ჩაგდება და მანძილის მოგება.

კანადამ ჯარიმა მე-8 წუთზე გაიტანა, რაზეც მათიაშვილმა 15 წუთში 3 ზუსტი დარტყმით უპასუხა და ტაიმის შუაში საქართველო 16:3 დააწინაურა. ამის შემდეგ სტუმრებმა ბურთზე კონტროლი დაამყარეს და დაახლოებით 10 წუთი დაცვაში მოგვიწია თამაში. კანადელები ლელოსთან ორჯერ იყვნენ ახლოს, თუმცა თავის დაცვა მოვახერხეთ და თითქოს საფრთხეც განიმუხტა, მაგრამ რეფერიმ მოულოდნელად შერკინებაში დაგვაჯარიმა, ფილ მაქმა ბურთი სწრაფად გაითამაშა, სანამ ჩვენი დაცვა დალაგდებოდა ის მარცხენა ფლანგზე ჩათამაშდა და თეილორ პერისმა ლელო გაქვითა.

ტაიმის მიწურულს ბორჯღალოსნებმა ინიციატივა დაიბრუნეს, მათიაშვილს შორიდან ჯარიმა გაუცუდდა, გაწითლებულ დროში მან კარში აღარ დაარტყა, დერეფანში ბურთი ლაშა ლომიძემ მოიგო, მოლმა მიმართულება ორჯერ შეცვალა და გიორგი ნემსაძის ლელო სოსომ გარდასახა – 23:8.

მეორე ტაიმის უმეტესი დრო ბორჯღალოსნებმა კვლავ შეტევებში გაატარეს და 4 ლელო გაიტანეს. პირველი ქულები ამჯერადაც მათიაშვილის ანგარიშზეა, მან ახლოდან ჯარიმა გაიტანა. შემდეგ ჯერზე მასპინძლებმა ლელოზე ითამაშეს და, მართალია, მოლის დაყენება ვერ მოხერხდა, მაგრამ რაქიდან ლევან ჩილაჩავამ შეუტია და მის ლელოს ზუსტი გარდასახვა მოჰყვა.

კანადამ ჩამორჩენა მალევე შეამცირა, მაქმა კვლავ სწრაფად გაითამაშა ჯარიმა, არეული დაცვის ხაზი გაჭრა და ვან დერ მერვეს ლელო გაატანინა. ამას მერაბ შარიქაძე არ შეეგუა, მეტოქეს ფეხით თამაშისას მისსავე 22-ში დაუფარა, ბურთისთვის ბრძოლაში 2 მცველს აჯობა და მათიაშვილის გარდასახვის შემდეგ ანგარიში 40:15 გახდა.

მეტოქემ ამოსუნთქვის საშუალება არც ამჯერად მოგვცა, ორიოდე წუთში ბურთი ფლანგზე გაშალა და გაჩენილი სივრცით ბროქ სთოლერმა ისარგებლა, რომელმაც გარდასახვაც გაიტანა.

69-ე წუთზე მათიაშვილმა შეხვედრის ულამაზესი ლელო გაიტანა: მეტოქის შეცდომის შემდეგ მან ცენტრიდან ბურთს ფეხი ძლიერად ამოჰკრა და მიჰყვა, ყველა ელოდა, რომ სოსო ოვალს ლელოში ვერ მიუსწრებდა, თუმცა ფულბეკი ეპიზოდს არ გამოეთიშა, მაღალ სიჩქარეზე 50 მეტრი ირბინა, გაფრინდა და ბურთს გრძელ ნახტომში ზედ პირით ხაზთან მიწვდა, რაც ვიდეო-რეფერიმ დააფიქსირა. მან რთული პოზიციიდან კვლავ ზუსტად გარდასახა.

შეხვედრის დასრულებას ბევრი აღარაფერი უკლდა, როდესაც 5-მეტრა შერკინების შემდეგ რაქიდან კახა ასიეშვილმა თანაგუნდელების დახმარებით შეუტია და მეექვსე ლელო გაიტანა, ხოლო მათიაშვილმა გარდასახვით საბოლოო წერტილი დასვა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელდა.

19 წლამდე ნაკრების ფიასკო

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ზედიზედ მეორე მატჩში გაუშვა ბოლო წუთებზე გადამწყვეტი გოლი, ამჯერად ანდორასთან ევროშესარჩევ მატჩში და 1:1 ითამაშა. 2 ტურის შემდეგ გიორგი ყიფიანის გუნდს 1 ქულა აქვს.

მატჩი ქართველთა უპირატესობით კი დაიწყო, თუმცა დაცვაში მწყობრად მოთამაშე ანდორელებმა გიორგი ყიფიანის გუნდს ბევრი მომენტი არ შეაქმნევინეს. გოლი ტაიმის მიწურულს ზურიკო დავითაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან ნიკა ნინუამ გაიტანა. 2 წუთში ბექა დარცმელიამ მეორე ყვითელი მიიღო და გუნდი კაცნაკლული დატოვა. 86-ე წუთზე კი ალბერტ გრაუ სამპერმა ანგარიში გაათანაბრა.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გუგეშაშვილი, მალი, ასათიანი (ინჯგია 90), ჯინჯოლავა, ხარაბაძე, ქოჩორაშვილი (ანდრონიკაშვილი 69), დარცმელია, დავითაშვილი, ნინუა, კვარაცხელია, ქავთარაძე (ოზბეთელაშვილი 61).

ჯგუფის ბოლო მატჩს საქართველოს 19-წლამდე ნაკრები საფრანგეთთან ჩაატარებს, რომელმაც მეორე ტურში მასპინძელ ბოსნიას 2:1 აჯობა, პირველ შეხვედრაში კი ანდორა 7:0 გაანადგურა.

შედეგები

11 ნოემბერი

ფეხბურთი

მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი

აფრიკა

ზამბია-კამერუნი	2:2
გაბონი-მალი	0:0
დრ.კონგო-გვინეა	3:1
კოტ დივუარი-მაროკო	0:2
ტუნისი-ლიბია	0:0

ევროპა

პლეი აუტი

დანია-ირლანდია	0:0

საკონტინენტთშორისო

პლეი აუტი

ჰონდურასი-ავსტრალია	0:0
ახალი ზელანდია-პერუ	0:0

ამხანაგური მატჩები

მალავი-ლესოტო	1:1
რუსეთი-არგენტინა	0:1
ნამიბია-ზიმბაბვე	3:1
მაკედონია-ნორვეგია	2:0
ესპანეთი-კოსტა რიკა	5:0

ეჩ-2019.შესარჩევი ეტაპი (21)

ჩეხეთი-სან მარინო	3:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-ლორკა	1:1
ალბასეტე-ალმერია	2:0
სარაგოსა-რაიო	3:2
ტენერიფე-ლეონესა	2:0
ბარსელონა ბ-უესკა	0:2

იტალია. სერია ბ

პრო ვერჩელი-ემპოლი	2:1
აველინო-ენტელა	0:0
სპეცია-ფროზინონე	1:1

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

ვლადიმირ ვაისმა ახალი კონტრაქტი მოგებით დაიწყო

საქართველო-კვიპროსი 1:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 ქვილითაია (24)

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, კაშია, ნავალოვსკი (გრიგალავა 83), კანკავა, კვეკვესკირი (აბურჯანია 83), პაპუნაშვილი (გვილია 74), ყაზაიშვილი (ლობჟანიძე 67), მერებაშვილი (კაჭარავა 83), ქვილითაია (სიხარულიძე 83)

კვიპროსი: ჯიორჯალიდისი, კირიაკუ (ავრაამი 73), არიმატასი (ეკონომიდესი 82), კრისტოფი (მიტიდისი 73), დემეტრიუ, ეფრემი (კასტანოსი 65), ლაბანი (ფილაქტოუ 65), ლაიფისი, მარგაკა (ვასილიუ 82), მერკისი, სოტირიუ

პირველი შანსი საქართველოს ნაკრებს 22-ე წუთზე მიეცა. მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში შეწეულმა გიორგი პაპუნაშვილმა კარისკენ დაარტყა, თუმცა ბურთი სამიზნეს ზემოდან გადასცდა.

მალევე ანგარიში მაინც გაიხსნა: კვიპროსელებმა საკუთარ საჯარიმოსთან უხეში შეცდომა დაუშვეს, ჯაბა კანკავამ ჩაჭრა გადაცემა, მისგან ბურთი გიორგი ქვილითაიას მიუვიდა, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან ზუსტი დაბალი დარტყმით მოახერხა ანგარიშის გახსნა – 1:0.

პირველი ტაიმის ბოლოს, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში საქართველომ კარისკენ კიდევ ერთხელ გაისროლა. სწრაფად გათამაშებული საჯარიმო ვაკო ყაზაიშვილის არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

შესვენების შემდეგ იყო კვიპროსელთა შეცდომა, რის შემდეგ საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთხელ მიეცა გატანის შანსი, თუმცა პაპუნაშვილმა ცუდად ითამაშა, შეტევა შეანელა, არც პასი გააკეთა და საბოლოოდ, მისი დარტყმული სტუმართა მცველს მოხვდა.

კვიპროსის ნაკრებს პირველი 100%-იანი საგოლე მომენტი 65-ე წუთზე შეექმნა. მცველების უყურადღებო თამაშის ხარჯზე სოტირიუმ ახლო მანძილიდან მოახერხა კარში დარტყმა, თუმცა გიორგი ლორიამ საოცარი რეაქცია გამოავლინა და გაშვებული ბურთისგან გადაგვარჩინა.

მალევე, 71-ე წუთზე სოტირიუ საჯარიმოს მახვილი კუთხიდან კვლავ დაემუქრა ლორიას კარს, თუმცა მისი დარტყმა კარის ბადეს გარედან მოხვდა.

საქართველოს ნაკრებს შეხვედრის ბოლო რეალური საგოლე შანსი 86-ე წუთზე ჰქონდა. ნიკა კაჭარავამ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ჩამოიცილა კვიპროსელი მცველი და საჯარიმოში მახვილი კუთხიდან შევიდა, მისი დარტყმა კი მეტოქის კარის დარაჯმა მოიგერია. აქაც შეიძლებოდა პასის გაკეთება თავისუფალ პოზიციაში მყოფი ირაკლი სიხარულიძეზე, მაგრამ...

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მილანის ინტერი საქართველოში საზაფხულო სკოლის გახსნას აპირებს

იტალიური საფეხბურთო გრანდი, მილანის „ინტერი" ნიჭიერ დამწყებ ფეხბურთელებს მთელს მსოფლიოში ეძებს. ძიების ერთ-ერთი ფორმა სხვადასხვა ქვეყანაში საზაფხული სკოლების დაფუძნებაა. ინფორმაციას 1tv ავრცელებს.

მომავალ წელს, იტალიელთა პარტნიორი ქვეყნების ჩამონათვალში, დიდი ალბათობით, საქართველოც იქნება. ორგანიზაცია „თავისუფალი ფეხბურთის" მიწვევით, „ინტერის" საზაფხულო სკოლების კოორდინატორი ანდრია რატი თბილისში ჩამოვიდა და თბილისის ზღვასთან მდებარე „ზესტაფონის" საფეხბურთო ბაზა მოინახულა. ის აცხადებს, რომ „თავისუფალი ფეხბურთის" წინადადება მოსწონს და „ინტერის" საზაფხულო სკოლის საქართველოში დაფუძნება რეალური საქმეა.

როგორც „თავისუფალი ფეხბურთის" პროექტების მენეჯერი პეტრე სარდანაძე აცხადებს, გადაწყვეტილება ფაქტობრუვად მიღებულია.

საერთაშორისო

ექსტრემისტების აქცია ვარშავაში

პოლონეთის დედაქალაქში დამოუკიდებლობის დღეს ულტრამემარჯვენეებმა მსვლელობა გამართეს. მასში 250.000 ადამიანი მონაწილეობდა.

მანიფესტანტებს მოჰქონდათ ანტისემიტური, ანტიდემოკრატიული ლოზუნგები. პოლონელებთან ერთად მსვლელობაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, შვედეთის, სლოვაკეთის, რუმინეთის ულტრარადიკალური მოძრაობების წარმომადგენლები.

მანიფესტანტები სკანდირებდნენ:

– ჩვენ გვინდა ღმერთი!

შემდეგ ამ ლოზუნგს მოსდევდა:

– ლვოვი პოლონური ქალაქია! ვილნიუსი პოლონეთს უნდა დაუბრუნდეს!

აქციის მონაწილენი ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ ლოზუნგებსაც ისროდნენ. „დასავლური ცივილიზაცია ჰომოსექსუალიზმისა და გარყვნილების ქადაგებაა!" „ამერიკა მსოფლიოს რყვნის" და ა.შ.

აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ტელეკორესპონდენტს განუცხადა:

– დღეს ჩვენი მოკავშირე რუსეთია! რუსებისაგან უფრო მეტს მივიღებთ, ვიდრე ამერიკელებისაგან ან ევროპისგან. მხოლოდ რუსებთან ერთადაა შესაძლებელი, დავიბრუნოთ დასავლეთ უკრაინა, შემოვიერთოთ ლიტვა! პოლონეთის აყვავება მხოლოდ რუსეთთან კავშირშია შესაძლებელი!

პეტერბურგში ქსენია სობჩაკს დაუსტვინეს

პეტერბურგელმა სტუდენტებმა ევროპული უნივერსიტეტის დასაცავად აქცია გამართეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებას უნივერსიტეტის ავტონომიის გაუქმება სურს.

აქცია არ იყო მრავალრიცხოვანი. მასში სულ 100 ადამიანი მონაწილეობდა. პოლიცია მოვლენებში არ ჩარეულა.

მიტინგიც მშვიდად, წყნარად მიმდინარეობდა. სიტუაცია მხოლოდ ქსენია სობჩაკის გამოჩენის შემდეგ დაიძაბა. მან სტუდენტებს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებისკენ მოუწოდა. პასუხად სტვენა გაისმა.

– ჩვენ სწავლა გვსურს და არა ბარიკადები! – სკანდირებდნენ სტუდენტები.

აქციის მონაწილეთა შორის ფსბ-ს აგენტებიც ერივნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ პუტინს რუსეთის დიდების აღდგენა სურს, რის გამოც მთელმა მსოფლიომ მათ წინააღმდეგ პირი შეკრა – ნახეთ, რა ხდება უკრაინაში, რუსებს უკვე პირდაპირი მნიშვნელობით ხოცავენო.

აქციაზე ქსენია სობჩაკის გამოჩენა რომ არა, ის შეუმჩნევლად და უხმაუროდ ჩაივლიდა. სობჩაკის გამოსვლამ ექსცესი გამოიწვია. აქციაც მსოფლიოს მედიამ ფართოდ გააშუქა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ასტროპროგნოზი

13 ნოემბერი



ვერძი – დილით პლანეტები გმფარველობენ. დღის მეორე ნახევარში გარკვეული დაბრკოლებები შეგხვდებათ. **კურო** – თუ გსურთ, ყველაფერი მოასწროთ, დრო სწორად გაანაწილეთ. ჯერ რთული საქმე მოითავეთ. **ტყუპები** – შრომის შედეგს იმკით. ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – გაღიზიანებული ხართ. ჩხუბსა და აყალმაყალს ერიდეთ. თავმდაბლობა დღის დევიზია. **ლომი** – კომერციულ ოპერაციებში ბედი გწყალობთ. საოჯახო საქმეები საჩქაროდ მოაგვარეთ. **ქალწული** – თავს გაუფრთხილდით. ზედმეტი დატვირთვა რეკომენდებული არ არის. დახმარებისათვის ახლობლებს მიმართეთ. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. მოსალოდნელია ფინანსური კრიზისი. **ღრიანკალი** – დაღლილი ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. სიმშვიდეს მხოლოდ ოჯახში მოიპოვებთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმის დაწყება გაამართლებს. ნუ იქნებით ექსცენტრული. **თხის რქა** – შესაფერისი დღეა ცოდნის არეალის გასაფართოებლად. იმუშავეთ საკუთარ თავზე. **მერწყული** – თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, რომელიც მრავალ სფეროს მოიცავს, თუმცა შედეგი თქვენს კეთილსინდისიერებაზე იქნება დამოკიდებული. **თევზები** – ფიზიკური შრომა დღეს სასარგებლოა. ასევე კარგი იქნება, თუ სპორტით დაკავდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

სკანვორდი



1. მეტროს სადგური თბილისში; 2. ასო „ფ"-ს სახელწოდება; 3. მოწონების გამომხატველი შორისდებული; 4. ფულად-საკრედიტო დაწესებულება; 5. ... დუმბაძე; 6. ერთ-ერთი ეროვნება; 7. დღესასწაული; 8. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 9. არმიაში ახლადგაწვეული ჯარისკაცი; 10. მეორე ნოტი; 11. სომხეთის დედაქალაქი; 12. ზურგჩანთა; 13. მეომრების დამცავი ნაგებობა ომის დროს; 14. ტყის სამკურნალო მცენარე; 15. ქიმიური ელემენტი; 16. რელიგიური მოძღვარი ინდოეთში; 17. მეგრული სიმღერა; 18. აკაკი ხორავას ერთ-ერთი საუკეთესო როლი; 19. შენობის წინხედი; 20. ფრანგული მხიარული ცეკვა; 21. ფრანგი კომპოზიტორი და დირიჟორი (XIX ს.); 22. ჯ.მაზინას კინოროლი; 23. ... პაჩინო; 24. ქართული ვოკალური კვარტეტი; 25. გაოცების გამომხატველი შორისდებული; 26. გულის მოქმედების ფაზა – შეკუმშვა; 27. მტაცებელი ცხოველი; 28. ადამიანის ზელა სამკურნალო ან კოსმეტიკური მიზნით; 29. არსაკიძის მეტსახელი; 30. ავღანური ენა; 31. წუხილის გამომხატველი შორისდებული; 32. ხე სურნელოვანი ყვავილებით; 33. კრემიანი ნამცხვარი; 34. „... დაიდარდო!"; 35. ბრაზილიელი ფეხბურთელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სერვანტესი; 2. კომუნა; 3. ფალანგა; 4. კრონა; 5. კონკლავი; 6. რანდი; 7. თაკვერი; 9. ტრიუმო; 13. პერტი; 17. რემა; 18. ფხა.

თარაზულად: 1. საიგაკი; 3. ფრანკი; 8. სონატა; 10. მუსკატი; 11. კანიო; 12. ბაზალტი; 14. სტამბა; 15. ჩხავერი; 16. ვერფი; 19. ხუტორი; 20. დივიზია; 21. მატანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მახათა; 2. ბუდა; 3. გალომანია; 4. დუომო; 5. ვისკოზა; 8. ერზაცი; 9. პოლიფონია; 12. ბუსეტო; 14. როტორი; 16. ერაყი.

თარაზულად: 1. მზეჭაბუკი; 6. ხანჯლური; 7. ხავერდი; 9. პაროლი; 10. კომო; 11. ჩარხილი; 13. მარკა; 15. ბურიმე; 17. ბალასტი; 18. პეპელა; 19. კვარცი; 20. მიტარბი.

თეონა წიწაკიშვილი რუსული შოუს ლიდერია

ქართველი მოცეკვავე თეონა წიწაკიშვილი ფართო საზოგადოებამ პროექტიდან „შენ შეგიძლია ცეკვა“ გაიცნო. თეონა თავის მეწყვილესთან ერთად რჩეულთა შორის მოხვდა და მაყურებლის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

თეონამ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადაწყვიტა და მონაწილეობა მიიღო პოპულარული რუსულ შოუში „ტანცი“ (ცეკვები). თეონას პლასტიკამ ჟიურის მეოთხე სეზონის სამივე წევრის მოწონება დაიმსახურა და იგი შოუს შემდგომ ეტაპებზეც უპრობლემოდ გადავიდა.

ამის მიუხედავად, თეონა თავისი ცეკვით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ თავის გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ შემდგომ ტურებში ყველაფერს გამოასწორებდა:

– უკმაყოფილო ვარ! მაგრამ იმ დღეს ვეღარ დავაბრუნებ უკან. სამაგიეროდ, მთავარია, რა მოხდა მერე. დაელოდეთ შემდეგ შაბათს.

პ.ს. სანამ თვითონ არ მოხვდები ამ სცენაზე, ვერ მიხვდები, მანამდე რატომ ეშლებათ, ან ცუდ პერფორმანსს აჩვენებენ არტისტები, ყველაფერი წინაა. დიდი მადლობა ყველას. მაძლიერებთ თითოეული თქვენგანი.

თეონა ფინალისკენ წარმატებით მიიწევს. იგი 20 საუკეთესო მოცეკვავეს შორის დასახელდა. როგორც თეონამ განაცხადა, პირველობისთვის ბრძოლაში მას უკვე ქართველების მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება, რაც მისთვის უფასოდ ხმის მიცემაში გამოიხატება.

თეონა წიწაკიშვილი:

– 11 ნოემბრიდან ვასახელოთ საქართველო! მეგობრებო, ეს გახლავთ აპლიკაციები რომელიც დაგვჭირდება, რომ ხმა მივცეთ თეონა წიწაკიშვილს ლაივებზე უფასოდ. ჯერ ვიწერთ ტეენტეს და შემდეგ ავტომატურად მოგვთხოვს მეორე აპლიკაციას, რომ დავარეგისტრიროთ ნომერი. ამას ერთხელ გავაკეთებთ. კვირაში 1 ხმის უფლება გვექნება, თქვენი იმედი გვაქვს. გავაერთიანოთ ძალები.

ნიკო ნიკოლაძის მუზეუმი შველას ითხოვს

სოლოლაკში პუბლიცისტისა და კრიტიკოსის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი მდებარეობს, რომელიც შველას ითხოვს. შენობის ამჟამინდელ მდგომარეობაზე ინფორმაცია ხელოვნებათმცოდნე ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა გაავრცელა:

– დამირეკეს სოლოლაკში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმიდან, ვერაფერს ვხდებით, არავინაა პატრონი, ჩვენს ქვედა სართულზე უნებართვო გადაკეთება მიმდინარეობს და დაგვეხმარეთო. მემორიალური მნიშვნელობის გარდა, შენობა ერთ-ერთი ულამაზესია თბილისში და მნიშვნელოვანია შემორჩენილი ფასადითა და ინტერიერის დეტალებით, ბუხრებით...

მივქროლდი. ამ დიდი მამულიშვილების ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების, რუსუდან ნიკოლაძისა და მიხეილ პოლიევქტოვის მემორიალური სახლის ქვეშ მართლაც მიმდინარეობს სამუშაო, რომელიც რესტავრატორი კი არა, კვალიფიციური პირიც ვერ ვნახეთ. ნებართვა ვერ გვაჩვენეს. აქ ჩვეულებრივი რემონტი კეთდება.

დიდი ალბათობით, აქ იქნებოდა ღირებული დეტალები კარ-ფანჯარა, ანტრესოლი და სხვა, რომელიც აღარ ჩანს. გაურკვეველია კონსტრუქციების ხარისხიანობაც. თუ რატომ ხდება ასეთი ჩარევა, ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია იმ ნებართვის საფუძველი უნდა ყოფილიყო, რომელიც აქ არ აქვთ.

მივმართავ თბილისის მერიას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს – შეაჩერონ სამუშაოები, გააანალიზონ მომხდარი, თუ რა დანაკლისი განიცადა ინტერიერმა, ხარისხიანია თუ არა კონსტრუქციული ჩარევა და სხვა.

ირღვევა კანონი, ძეგლზე მიმდინარეობს სამუშაოები, რომელიც უნებართვოა!

აქ არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ მნიშვნელოვან ძეგლში იაფფასიანი, მრავალსტუმრიანი ჰოსტელი კეთდება, რაც არცთუ თავსებადი იქნება შენობის ისტორიულ-მემორიალურ და მხატვრულ ღირებულებასთან!

„ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი მახათას მთაზე გადავასვენოთ“

ამ ინიციატივით ეკატერინე იმედაძე გამოდის და ბოლო პერიოდში პანთეონების თემაზე ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურება.

საზოგადოება დღესაც აქტიურად მსჯელობს, ვინ იმსახურებს პანთეონში დაკრძალვას და ვინ – არა. ეკატერინე იმედაძე გამოდის ინიციატივით, რომ მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან რამდენიმე პოეტი, მწერალი და ეროვნული გმირი მახათას მთაზე გადაასვენონ:

– ისე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ქაქუცა, გალაკტიონი, გოგლა, მერაბ კოსტავა და კიდევ რამდენიმეს ნეშტი რომ გადავასვენოთ მახათას მთაზე, გული არავის დასწყდებოდა... პირადად მე მათ საფლავებზე ყველგან ვივლი!

ალმოჩენა ვანის ტბაში

ვანის ტბაში, რომელიც თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, უძველესი ნანგრევები აღმოაჩინეს. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ეს უძველესი ნანგრევები სამი ათასი წლით თარიღდება. ნანგრევებს ვანის ტბაში 10 მეტრის სიღრმეზე მიაგნეს.



ადგილობრივი ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თურქეთის უძველესი მემკვიდრეობის შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიული კონტექსტისთვის.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ტბას, რომელიც არაერთ „საიდუმლოებას“ მალავს, დაინტერესებული მყვინთავებისა და არქეოლოგების მიზიდვა შეუძლია, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ტურისტულ სექტორზე დადებითად აისახება.

ანი კიკნაძე: „ვითხოვ მიმდინარე სამუშაოების აღკვეთას!“

ამ განცხადებას მედიაკავშირ ობიექტივის პროდიუსერი ანი კიკნაძე ავრცელებს და მოსახლეობას ატყობინებს ინფორმაციას, რომ პროკურატურაში განცხადება შეიტანა. მან მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს ატენის სიონში მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება მოსთხოვა.



ანი კიკნაძე:

– პროკურატურაში განცხადება ჩავაბარე მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის სახელზე. მოვითხოვე, დაწყებულიყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259 (3) მუხლით „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევა“.

ვითხოვ მიმდინარე სამუშაოების აღკვეთას. რამდენიმე დღეა ვცდილობ მოვიკითხო ჩემი განცხადების ბედი და, როგორც იქნა, დღეს შევიტყვე, რამდენი უმოგზაურია.

მთავარი პროკურატურიდან განცხადება გადაიგზავნა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში, შემდეგ გორის პროკურატურაში ბატონ კობა ნოზაძესთან. როგორც კანცელარიაში განმიმარტეს, ბატონი კობა რამდენიმე წუთში მიიღებს განცხადებას, რომელიც გორში დღეს შევიდა.

ვნახოთ, რა ბედი ეწევა ჩემს მიმართვასა და მოთხოვნას, მაგრამ ამაზე მეტად საღელვებელი ატენის სიონის ბედია, რომელმაც საუკუნეები გამოიარა, ბევრი ისტორიული ქარტეხილი გადაიტანა და ვიღაც მიხეილ გიორგაძის, ნიკოლოზ ანთიძის, ერისა და ბერის დაუდევრობას უნდა გადაჰყვეს... ადამიანები და მით უფრო მათი სტატუსები და რეგალიები წარმავალია და მაგ პოზიციებზე ბევრი ყოფილა და კიდევ უფრო ბევრი იქნება, მაგრამ ატენის სიონი უდიდესი მნიშვნელობის კულტურული, ისტორიული ძეგლია და არავის აქვს უფლება, ვინმე კერძო პირის ან ჯგუფის კომფორტისა და ინტერესების გამო თუნდაც მტვრისოდენა ზიანი მიაყენოს მას!

რა თქმა უნდა, ამ საქმის შესახებ ყველა წვრილმანს აქ გამოვაქვეყნებ და უახლოეს დღეებში გადამღებ ჯგუფთან ერთად ვეწვევი ატენის სიონს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან და ბევრნი არიან ადამიანები, რომლებსაც აღელვებთ საკუთარი ისტორია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დემნა გვასალიამ გუჩის აჯობა – „ბალენსიაგა“ პლანეტის ყველაზე მოთხოვნადი ბრენდი გახდა

მაშინ, როცა მთელი საქართველო დემნა გვასალიას მიერ მსოფლიოს „ატროლვაზე“ ხალისობს, ჩვენი ბიჭი არ ჩერდება და, არც მეტი, არც ნაკლები,

Gucci-ს გადაუსწრო!

დიახ, ალესანდრო მიკელეს „გუჩის“ დემნას „ბალენსიაგამ“ აჯობა და პლანეტის ყველაზე განხილვადი ბრენდი გახდა.

გავლენიანმა გამოცემა The Business of Fashion შეისწავლა 65 მილიონი მყიდველი, 5 მილიონი პროდუქტი, 12.000 ბრენდი და გამოაქვეყნა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბალენსიაგამ გუჩი პირველი ადგილიდან ჩამოაგდო და მსოფლიოში მომენტის ყველაზე განხილვადი და მოთხოვნადი ბრენდი გახდა.

2017 წელს კი ბალენსიაგას ფეხსაცმელი ყველაზე გაყიდვადი, მოთხოვნადი მოდური პროდუქტი აღმოჩნდა.

Vetements-ისა და Balenciaga-ს შემოქმედებით ხელმძღვანელს დემნა გვასალიას მსოფლიო მოდის ინდუსტიაში კარგად იცნობენ. მისი არაორდინარული კოლექციები მოდის ექსპერტებში მუდმივად განხილვისა და აღფრთოვანების საგანია.

კოლექციები ქართველებისთვის ხშირად ღიმილისმომგვრელია, რადგან მარტივად აღმოაჩენთ 90-იანი წლების დეტალებს. დემნას კოლექციებში შეგვიძლია ვიხილოთ მანქანის სარკე-ჩანთები, „კოვრიკი“ კაბები, 90-იანი წლების მაგიდის გადასაფარებლის კაბები და ფეხსაცმელები, სანთებელა-ფეხსაცმელები და ე.წ. ლილოს ჩანთები.

დემნა გვასალია „ბალენსიაგას“ კრეატიული დირექტორი 2015 წლის ნოემბერში გახდა. პარალელურად, ის განაგრძობს ბრენდ Vetements-ის კოლექციის შექმნას.

Vetements ძმებმა დემნა და გურამ გვასალიებმა 2014 წელს დააარსეს და აღიარებაც მალევე მოიპოვეს.

მოდის სფეროში შეტანილი შემოქმედებითი წვლილისთვის დემნა გვასალია პრესტიჟული ამერიკული დაჯილდოების, მოდის ოსკარად წოდებული CFDA-ს გამარჯვებულიც გახდა.

ნიუპოსტი

პროგრამა

ოხშაბათი
13 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15, 03.00** ტ/სერ. "**ჩინგო ვეტერინე**" **10.00, 02.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15**"სპორტის დაფა" **12.40**"კვირის ინტერვიუ"-ირაკლი აბსანძე **13.25, 22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30**დოკ/ფ "ავტოდახმარება" **15.30, 04.00** დოკ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **16.30** ტ/სერ. "**ვლვეტი**" **18.00 ფეხბურთი.** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. **საქართველოს ეროვნული ნაკრები- ბელორუსი.** (ქუთაისის ცენტრ/სტადიონიდან) **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **23.15** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **00.25** მხ/ფ "**სიჩუმე**" (ჯ. ლენგი) **05.00**მხ/ფ "**დაცარიელებული ქალაქი**" (ლ.ტაილერი)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გულს**" **18.50, 19.03** სერ. "**მოაარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** ნიჭიერი **00.30** მხ/ფ "**ყველაზე ბრაზიანი კაცი ბრუკლინში**" **02.15** მხ/ფ "**მეცამეტე რაიონი 2**" **04.00** მხ/ფ "**ვარსკვლავების რუკა**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიკას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ბზარი**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.15, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **09.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00** მხ/ფ "**ველური**" **ველური დასავლეთი**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები 4**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები-3**" **19.00** სერ. "**სისფერი სისხლი-5**" **21.00** სერ. "**სპირალი 5**" **22.30** მხ/ფ "**ზღვარს მიღმა**" **00.30** მხ/ფ "**მლდელი**" **02.10** მხ/ფ "**შავი მოქცევა**" **04.10** მხ/ფ "**მამაცი**"

tv ეროვნული **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება -NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** ღალატი

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 04.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნეს-კოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** მხ/ფ "**ტყუილი და ილუზია**" **3.40** ცენზურის გარეშე

06.15 ღვთის სახლი-"აფხაზეთის საკათალიკოსო" **06.50** პატერიკი-გალახკათათვის გამღები მრავალწილად მიიღებს- **06.55** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **07.30** ჩვენი ფონდი-"მამა გიორგი გუგუშვილი- წმინდა დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-გალაპაგოსის კუნძულები" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** ქვიშანი დარჩებიან **10.35** მიწათმოქმედი "კახური ღვინო" **10.50** დ/ფ " გივი კარტოზიარაინდები" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ზოლიანი დღე**" **13.30** ან/ფ "ბემბი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** სპექტაკლი "**დარისპანის გასაჭირი**" **18.10** დ/ფ "გარდაცვალება მარადიული სიცოცხლის დასაწყისი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** კარაბადინი "ხველა კრუპი" **20.00** საქართველო ევროპულ ოჯახში-"სურსათის უვნებლობა" **20.40** ძილი ნებისა "კონკია" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-ღირსი მამა ალექსი შუშანია **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "წულრუღაშენის მონასტერი" **22.15** საბერძნეთი-"ელადის მიწაზე" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია"XI ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** აქტუალური თემა "თამბაქო" **23.45** ღვთის სახლი "წმინდა გიორგის მოღნისის ტაძარი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ეპოქა და ადამიანები "რევაზ ლაღიძე" **01.30** კონცერტი

მაესტრო **10.00- 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მთავარი თემა (პირდაპირი)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6499

ევრო — 3.0882

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4857

100 რუსული რუბლი — 4.4699

ამინდის პროგნოზი 13 ნოემბრისთვის

9 ნოემბრიდან



ალექსანდრე ელისაშვილი
თბილისის თავგადასავალი

„ასეთ წიგნს დიდხანს ველოდი. საბოლოოდ კი გადავწყვიტე, მე თვითონ დამეწერა, ყველასთვის გასაგებ ენაზე მომეთხრო თბილისის თავგადასავალი“ – ამბობს ავტორი.

წიგნს ერთვის მდიდარი ფოტომასალა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

14 ნოემბრიდან

უცხოეთში დაკარგული ქართველები

ბედის უკულმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

16 ნოემბრიდან



რომან გვენცაძის
საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ვანო ჯავახიშვილს გია კორკოტაშვილი ემუქრება



იუმორისტსა და „ვანოს შოუს“ წამყვან ვანო ჯავახიშვილს „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი გია კორკოტაშვილი ემუქრება. კორკოტაშვილი ვანოს შოუში მისი ოჯახის დამამცირებელი სიუჟეტის მომზადებას აპროტესტებს და დუმილისთვის ჟურნალისტებსაც აკრიტიკებს.

გია კორკოტაშვილი:

– ჩემო სიმართლით სავსე კრისტალო ჟურნალისტებო!

კაციშვილს ხმა არ ამოგიღიათ ამ კლოუნის ვანოს შოუში გაშვებულ ჩემი ოჯახის დამამცირებელ სიუჟეტზე!

გვარამია ფრთოსანო, შენი ბრძანებებიდან გამომდინარე, როცა „ზამ ფრაკურორა“ იყავი, რამდენი დაკავებულის შვილები არიან ფსიქიურად შერყეულები, „მამებს, მსოფლიოში მათთვის ყველაზე ძლიერ ადამიანებს, მათ ცხვირწინ რომ სცემდნენ?“ დაინტერესებულხარ, შე მართლა „ძვირფასო ადამიანო“. იურისტებთან უნდა მოვამზადო ეს თემა, თუ კანონი მომცემს ამის საშუალებას, საქვეყნოდ დავსაჯო!

და ისე თუ არ შეგაზიზღო შე თავგასიებულო ვანო ხარ თუ ჩემი სიქიმბალა, შენ „კოზიოლ“ კოლექტივთან ერთად ამ ქალაქში სიარული, მე ვიყო არა ქალაქელი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– ჩემი გოგონა მაიამიში მდიდრულ ვილაში ცხოვრობს, ყოველდღე საუკეთესო რესტორნებში სადილობს, სულ ძვირფას სამოსში გამოწყობილი დადის...

– შენც ნახე, რა, რით მოიწონო თავი, ჩემი ქალიშვილიც მეძავია!

•••

ქალაქში ჩამოსული კახელი ქუჩაში მანქანაზეა მიყუდებული. მასთან პატრულის თანამშრომელი მივა და ეუბნება:

– მანქანის საბუთები მომეცით!

– არ მაქვს.

– თუ არ გაქვს, მაშინ მანქანას საჯარიმო სადგომზე გადავიყვან.

– ამ ჩემს ფეხებს, თუ გადაიყვან, სხვა მანქანას ვერ მივეყუდები?!

•••

ქალის გაუპატიურებაზე ბრალდებულს მოსამართლე ეკითხება:

– როგორ გააუპატიურეთ ეს ქალი?

– გმადლობთ, კარგად!

•••

ტელეფონის ზარია:

– ალო, ეს დასაქმების ცენტრია?

– დიახ.

– თუ შეიძლება, ტუალეტის კარი გამიღეთ, საკეტი გაფუჭდა და შიგნით ჩავიკეტე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

7 ნოემბრიდან

გაბრიელ ტანიე
ქანაანის შვილები

დათო ტურაშვილი ასე აფასებს გაბრიელ ტანიეს და მის „ქანაანის შვილებს“:

– ამ წიგნის ავტორს ახალგაზრდობაში შევხვდი. მაშინ მას სოსო გაჩავა ერქვა. მან თვითონ გააკეთა არჩევანი და სასულიერო პირი გახდა. წლების შემდეგ უკვე ფშავში ვნახე, ჩარგალში მოღვაწეობდა. ხევსურეთში იმ ზაფხულს ისეთი სიტყვები მოვისმინე ხევსურებისგან, სულაც არ მიკვირს ამ წიგნის ყდაზე მისი ხევსურული ფსევდონიმი. ტანიე პატარა ტბის სახელია პირიქითა ხევსურეთში, რომელსაც გულის ფორმა აქვს.

მამა იოსების ეს წიგნი სიყვარულისთვის დაწერილი რომანია და ამ წიგნის მკითხველებსაც დიდი სიამოვნება ელით.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

10 ნოემბრიდან



ანდრეს ინიესტა
შემოქმედი

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ამ წიგნში საუბრობს ოჯახზე, ურთიერთობებსა და იმ გზაზე, რომელიც ლა მანჩაში ბეტონის სტადიონიდან „კამპ ნოუმდე“ გაიარა.

„მე მჯერა იმ ძველი გამოთქმის, რომლის მიხედვითაც, ადამიანს შვილი უნდა ჰყავდეს, ხე დარგოს და წიგნი დაწეროს. საბედნიეროდ, ქალ-ვაჟის მამა ვარ; ჩემს საფეხბურთო კარიერას ყოველთვის ექნება კავშირი ხესთან, იმ სათამაშო მოედანზე რომ იდგა, სადაც ბავშვობაში ბურთს ვაგორებდი; და დამრჩა წიგნი, თქვენ ხელთ რომ არის და რომელსაც „შემოქმედი“ ვუწოდე“, – ამბობს ანდრეს ინიესტა.

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

მათიაშვილის რეკორდი, ულამაზესი ლელო და გაფანტული ნეკერჩხლები

საქართველო-კანადა 54:22

ბორჯღალოსნებმა თიბისი რაგბის სერიების პირველ მატჩში კანადა დამაჯერებლად დაამარცხეს (54:22) და ერთბაშად რამდენიმე რეკორდი დაამყარეს.

„ნეკერჩხლებთან“ აქამდე ექვსჯერ გვითამაშია და ყველაზე მეტი – 52 ქულა გუნდებმა პირველ შეხვედრაში დააგროვეს, როდესაც კანადამ 42:10 მოიგო (2009 წელს). ამჯერად მხოლოდ ბორჯღალოსნებმა 54 ქულა აიღეს, ჯამში გუნდებმა 76; აქამდე კანადასთან ყველაზე მეტი – 22 ქულა 2010 წელს მოვაგროვეთ, როდესაც მეტოქეს 22:15 მოვუგეთ და მაშინ მათ 3 ლელო დავუდეთ, ამჯერად ორ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; 5. ბედ-იღბალი; 7. მუზარადი; 9. „...ს ძაფი“ – აწეწილი საქმის სიმბოლო; 10. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 13. პაემანი; 14. დგამი; 15. საბრძოლო იარაღი (ძვ.); 19. სოსისის მსგავსი ძეხვი; 20. უდაბნო თურქმენეთში; 21. ერთი ტიპის სამხედრო გეგმების გაერთიანება; 22. ვაშლის ჯიში.

შვეულად: 1. ათი დღე; 2. დიდი გრძელკუდიანი ხვლიკი; 3. ზევსის მერიქიფე ყმაწვილი; 4. ფოტოგრაფის სახელოსნო; 6. მწნილი; 8. თითქმის უცვლელი მოცულობის მქონე რკინა-ნიკელის შენადნობი; 11. გულიანი ან უგულო მაგარი კანფეტი; 12. ს.თაყაიშვილის კინოროლი; 16. ინგლისური ხურდა ფული; 17. არგენტინული სამეჯლისო ცეკვა; 18. ნავსადგური.

შეადგინა ოლივერ კოხიამ